„ა(ა)იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ისტორიის ფაკულტეტი

ანა ირემაძე

ქრისტიანობა აჭარაში

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სპეციალობა: ისტორია

თემის ხელმძღვანელი: ტ. ებრალიძე
პროფესორი

ხიჭაური
2021

ანოტაცია

ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარის აჭარის რეგიონში, ჯერ კიდევ ახ.წ პირველი საუკუნიდან იწყება. ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით პირველი ტაძარი სწორედ აჭარაში, კერძოდ დიდაჭარაში აიგო. აჭარაში ვერ ვნახავთ სოფელს, სადაც ერთი ან ორი ეკლესია-საყდარი არ იყოს. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველოს ეს უძველესი, ძირძველი მხარე სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო. მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა და ძალდატანებისა ადგილობრივმა მოსახლეობამ მტკიცედ დაიცვა მამული, ენა და სარწმუნოება.

მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოვამზადე სამაგისტრო ნაშრომი, სადაც თავი მოვუყარე ქრისტიანობის წარმოშობასა და გავრცელებასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს. ოსმალთა დაუნდობლობის ფაქტებს, რომელთაც გააჩანაგეს განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა, ჩაკლეს ხელოსნობა, მშენებლობა, განათლება, კულტურა. ყველგან უბედურებამ, სიღატაკემ, უიმედობამ და შიშმა დაისადგურა.

Annotation

Preaching the Christianity in Georgia started from Adjara, its one of the most beautiful regions, from the 1st century. The first temple was built in Adjara, namely in Didajara according to the historical sources and archeological data. One can hardly find the village without a couple of churches in Adjara. As a result of historical misfortune, the oldest part of Georgia, Adjara was under the Ottoman rule during three centuries. Despite the severe regime and coercion, the local population strongly defended their land, language and religion.

On the base of learning the rich scientific heritage and making analysis, I have prepared the master work, where I gathered the facts and events related to the origin and preaching the Christianity. My paperwork includes the brutal facts how Georgian agriculture, education, crafts, construction and culture was destroyed by Ottomans. Misery, poverty, hopelessness and fear were everywhere.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 5-7

თავი I. აჭარა ქრისტეს მოციქულთა ხანაში 8-20

თავი II. ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დასავლეთ საქართველოში I-X საუკუნეებში..... 21-41

თავიIII. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში..... 42-57

თავი IV. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალები 58-68

დასკვნა 69-70

გამოყენებული ლიტერატურა 71

შესავალი

თემის აქტუალობა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კერძოდ ზემო აჭარა მდიდარ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მემკვიდრეა. თემა თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია რადგანაც, ჩვენი ქვეყნისათვის ამ ურთულეს პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მომავალი თაობის სწორ აღზრდასა და განათლებას, მათში მართლმადიდებლური ცხოვრების წესის დანერგვას, ზრუნვას ჭეშმარიტი ცოდნის , სიკეთის, სიყვარულის, მიმტევებლობის, ურთიერთთანადგომის, ერთობის, ქრისტიანული მორალის განმტკიცებისათვის. ეს არის ქართველი ერის სულიერი სიწმინდის საფუძველი. ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის მრავალსაუკუნოვანი ბუნებრივი გზის გაგრძელება, ჩვენი ხსნა“-ეს ამონარიდი 1995 წლის 18-19 სექტემბრს სვეტიცხოველში ჩატარებული გაფართოებული საეკლესიო კრების მონაწილეებს ეკუთვნით, რომლითაც ისინი საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართავენ, ვინაიდან სწორედ რწმენამ გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა უზარმაზარი იმპერიების ინტერესთა სფეროში მოქცეული ჩვენი ქვეყანა და ერი, რომლის რწმენისადმი ერთგულებით აღტაცებული დოქტორი კონრად ლიუბეკი წერდა: ,,მართლაც დიდებული და უკვდავი ძეგლი აიგო საქართველომ საკუთარი რწმენისადმი ურყევი ერთგულებით. მისი ხალხი ქრისტესათვის თავდადებული გმირების გუნდით წამებული ერი გახდა, რომლის მსხვერპლად თავის დადებისადმი ერთგულება და სიმტკიცეს დღესაც სრულ გაოცებასა და აღფრთოვანებას იმსახურებს“

თემის მიზანი. ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ქრისტიანობის გავრცელება - დამკვიდრების საკითხები სამხრეთ- დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში. განვსაზღვროთ მისი როლი ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართული ენის, კულტურის, ზნე- ჩვეულებებისა და ყოფის, ზეპირსიტყვიერების, მამა-პაპათა მიერ დამკვიდრებული ტოპონიმების დაცვა-შენარჩუნებაში. წარმოვაჩინოთ მისი ისტორიული ნაშთები და ნიშნები და ამით კიდევ უფრო

გავათვითცნობიეროთ, ეროვნულ ნიადაგზე დავაყენოთ, როგორც აჭარის მკვიდრი, ისე მისი თანამემამულე. მივცეთ მას სწორი წარმოდგენა საქართველოს ამ განუყოფელ უძველეს მხარეზე, მის მცხოვრებლებზე.

სიახლე და მნიშვნელობა. სამაგისტრო ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები, ქრისტიანობის გავრცელებასა და დამკვიდრებასთან დაკავშირებით. მდიდარი ეთნოგრაფიული, ისტორიული, დოკუმენტური მასალები საინტერესო ცნობებს შეიცავს რეგიონის ეკონომიკური, სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს თემის მნიშვნელობა და აქტუალობა. შედგება შესავლის, ოთხი თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა, მოცემული სიახლე და მნიშვნელობა, ასევე განსაზღვრულია მიზანი და ამოცანები.

თავი I. პირველ თავში გადმოცემულია ყველა ის მეცნიერული თუ წერილობითი მასალები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დასავლეთ საქართველოში პირველმოციქულთა შემოსვლას, მათ მოღვაწეობას და ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას. აქვე აღნიშნულია სხვადასხვა ტომთა შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთაც ხელი შეუწყეს ხელსაყრელი ნიადაგის შექმნას სარწმუნოების გავრცელებისათვის. აქვე მოყვანილია ყველა ცნობა და მოგზაურობის მარშრუტი, რომელიც უფრო ამყარებს იმ ფაქტს, რომ ანდრია პირველწოდებულმა და სხვა მოციქულებმა ნამდვილად იმოგზაურეს დასავლეთ საქართველოში და გაავრცელეს ქრისტიანული სარწმუნოება.

თავი II. მეორე თავში აღწერილია ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება I-X საუკუნეებში. მოყვანილია სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. გადმოცემულია ეგრისის ტერიტორიაზე ქრისტიანობის ქადაგებისა და გავცელების ფაქტები და ამასთანავე მთლიანად დასავლეთ საქართველოში არსებული სიტუაციის მიმოხილვა. ასევე ფაქტის სახით

მოყვანილია საერთაშორისო სამეცნიერო ექსპედიციის მიერ ჩატარებული კვლევები და ამ კვლევაზე დაყრდნობით მოყვანილი ფაქტები.

თავი III. მესამე თავში გადმოცემულია კულტურული-საგანმანათლებლო კერების არსებობის მნიშვნელობა, ასევე ეკლესიების როლი ოსმალთა ბატონობის პერიოდში და ამასთანავე ის მძიმე პირობები, რომელიც გამოიარა საქართველომ ოსმალთა ბატონობის დროს.

თავი IV. მოცემულია მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალები აჭარის ტერიტორიაზე ადგილობრივ მკვიდრთა გამუსლიმანებასთან დაკავშირებით.

დასკვნით ნაწილში მოკლედაა შეჯერებული ცალკეულ პარაგრაფებში განხილული საკითხები და დამატებულია ჩვენეული ინტერპრეტაციები.

თავი I. აჭარა ქრისტეს მოციქულთა ხანაში

,,ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღურების

გარდა, ჩვენში აღნიშნავდა მთელის

საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა

ქართველობას“

ილია მართალი

ქრისტიანობის გავრცელება ამა თუ იმ ქვეყანაში და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში, იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი ახსნა ერთი რომელიმე ფაქტით, ან პიროვნების მოღვაწეობით, შეუძლებელია. იგი შემზადებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებით, რომელთა შესახებაც თანმიმდევრულად ვიმსჯელებთ აღნიშნულ ნაშრომში.

,,დასავლეთ საქართველო - მდიდარი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყანა, ისტორიული საქართველოს ორგანული ნაწილი, არგონავტების მოგზაურობის ხანაში (ძვ. წ-ის XIII- XII სს.) აია-ს სახელით იყო ცნობილი. VI-V საუკუნეებისათვის ბერძენი ტრაგიკოსი ესქილე- კოლხეთად მოიხსენიებს, ახ. წ-ის პირველი საუკუნიდან -ლაზიკად, ლაზეთად იხსენიება, ხოლო VIII საუკუნიდან, როცა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთაგან პირველობა და ჰეგემონობა აბაზგებმა - აფხაზებმა მოიპოვეს, აფხაზებად იწოდებოდა ბერძნების მიერ,როგორც ჩანს, ამ სახელწოდებათა მიკუთვნება დასავლეთ საქართველოსათვის განსაზღვრა იმ ტომთა

ძლიერებამ და პირველობამ, რომლის სახელწოდებასაც ატარებდა ქვეყანა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (კოლხები, ლაზები, აფხაზები).

აქ მცხოვრებ ტომთა შესახებ ცნობები ძვ. წ-ის VI საუკუნიდან მოგვეპოვება, როცა იგი კოლხეთად იწოდებოდა და მოიცავდა ტერიტორიას სოხუმ-ბიჭვინთის მიდამოებიდან ჭოროხის შესართავამდე. ძველი წყაროები (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, სტრაბონი) აქ მხოლოდ ერთ ტომს-კოლხებს მოიხსენიებენ, მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების მწერლების ცნობები ცხადყოფენ, აქაური მოსახლეობა არ ყოფილა ერთგვაროვანი, რამდენიმე ტომი ცხოვრობდა და უძველეს წყაროებში ცნება ,,კოხები“ და ,,კოლხიდა“ წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და კოლხეთის სახელმწიფოს აღნიშნავს.

არიანეს ,,პერიპლუსის“ მიხედვით, ძიდრიტების მეზობლები ლაზები არიან. მათ საცხოვრისს მკვლევრები თანამედროვე აჭარის საზღვრიდან მდინარე ხობამდე არსებულ ტერიტორიაზე ათავსებენ (დიასამიძე,2001:12-20).

,,ძვ.წ II საუკუნეში კოლხური სამეფო დაეცა. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა პონტოსა და რომს შორის. ძვ. წ. I საუკუნის 60-იან წლებში ეს ბრძოლა რომის გამარჯვებით დამთავრდა. ჯერ პონტოელთა, შემდეგ რომაელთა ბატონობამ მოშალა ადგილობრივი მმართველობა , რის გამოც ქვეყანა ანარქიამ და ძალმომრეობამ მოიცვა.ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა (ჯიქები, ჰენიოხები, , აქაელები) და ნელ-ნელა დაიკავეს ბარის მიწები. სტრაბონის ცნობით, ჩრდილო კოლხეთის სანაპიროზე ჩამოსახლება იწყეს ადიღეურმა ტომებმა -ჯიქებმა და განდევნეს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა - ,,კერკეტები“. ისინი მეკობრეობდნენ ზღვაზე , არბევდნენ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებსაც კი. პლინიუსი მიუთითებს, რომ ჰენიოხებმა გაძარცვეს პიტიუნტი (ბიჭვინთა). მისივე ცნობით, დიოსკურიაც დაცარიელებულია. ახ.წ. I საუკუნის ბოლოსათვის თითქმის დასრულდა მთიელ ტომთა ჩამოსახლება. ისინი განვითარების დონით

ჩამოუვარდებოდნენ ბარის მოსახლეობას და იმყოფებოდნენ პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაში“.

ჩრდილოეთიდან მოზღვავებული ეს ტომები გვაროვნული წყობილობის რღვევის პროცესს განიცდიან და შესაბამის გავლენას ახდენენ ადგილობრივ სოციალურად განსხვავებულ მოსახლეობაზე. ამავე პერიოდში უნდა გამოჩენილიყვნენ ცენტრალური კოლხეთის სანაპირო ზოლში სანიგები (დიოსკურიის რაიონებში), აბაზგები (მათ სამხრეთით) და აფშილები (კიდევ უფრო სამხრეთით). ძვ.წ. II საუკუნიდან ამ ტომთა გააქტიურებას ბევრად შეუწყო ხელი იბერიის სამეფოს დასუსტებამაც, რომელთა ხელშიც კოლხეთის მხოლოდ უკიდურესი აღმოსავლეთი რაიონები იყო დარჩენილი. ,,სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტემ კოლხეთში ხელი შეუწყო მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან პროცესს-მთიელ ტომთა მიერ ბარის მიწების დაკავებას. ცენტრალურ კოლხეთში მთიელი ტომების ახ. წ. II საუკუნის 30-იანი წლებისათვის შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან ვიდრე დიოსკურია-სებასტოპოლისამდე ექვსი ნახევრად დამოუკიდებელი გაერთიანება ჩანს მაკრონებისა და ჰენიოხების, ძიდრიტების, ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების (კეჭეყმაძე,1961:42). როგორც მოხმობილი წყაროდან ჩანს, II საუკუნის 30-იანი წლებისათვის ქალაქ ტრაპიზონიდან სებასტოპოლის-ბიჭვინთის მხარემდე ერთმანეთის მიყოლებით ცხოვრობენ კოლხები, სანები, მაკრონები და ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფშილები, აბაზგები და სანიგები. ამათგან, მკვლევართა აზრით, ქალაქი ტრაპეზუნტი, კოლხებისა და სანების (ჭანების) მიწა-წყალი კაპადოკიის პონტოს პროვინციაში შედის. მაკრონ-ჰენიოხებს თანამედროვე ჭანეთის ნაწილი ეკავათ და მათი ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ სხვადასხვა აზრია, მაგრამ სოფელ ხოფასა და მის ახლოს მდებარე მდინარე ორხოფს არ შორდება. ძიდრიტების ტერიტორიას მკვლევარები თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე ათავსებენ.

,, ამ ერთიანობას კოლხეთის სახელმწიფო, როგორც, ჩანს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე ინარჩუნებდა, რადგან II საუკუნიდან, რომაელი მოხელის ფლავიუს არიანეს მიხედვით, აქ რამდენიმე ტომი ცხოვრობდა.

,, ძვ. წ-ის I საუკუნის 60-იან წლებში, როცა პომპეუსმა იბერია დალაშქრა და გადმოვიდა კოლხეთში, სადაც სარდალი სერვილიუსი შეეგება პონტოს დამცველი ფლოტით, აქ მმართველად მან ვინმე არისტარქე დააყენა, როგორც ჩანს, ამ დროის ცენტრალური კოლხეთი მაინც ერთიანი ქვეყანა იყო. არისტარქეს დროს კოლხეთი ცალკე ერთეულია, შემდეგ ისევ პონტოს მეფეთა დაქვემდებარებაში მოქცევა, მაგრამ ახალი წ-ის 63 წლიდან , როცა იმპერატორმა ნერონმა პონტოს სამეფო გააუქმა და თავის პროვინციად აქცია. იგივე ბედი ეწია კოლხეთსაც იგი კაპადოკიის პროვინციის ნაწილია და მის ზღვისპირა ციხე-ქალაქებში რომაული გარნიზონები (დიასამიძე,2001:22-26).

სოხუმში, პეტრა -ციხისძირსა და გონიო-აფსაროსი მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ ამ პერიოდში საქართველოს ზღვისპირა ცენტრების რომის აღმოსავლურ რეგიონებთან აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე, რაც ხელშემწყობი ფაქტორი იყო კოლხეთში ქრისტიანული იდეების გავრცელებისათვის. ქრისტიანული იდეების აქ გავრცელებას ხელს უწყობდა აგრეთვე ციხეებსა და ქალაქებში ჩაყენებული რომაული გარნიზონებიც, რომელთა ძირითად კონტინგენტს მცირეაზიელები შეადგენდნენ. მცირე აზია კი ამ დროს რომის იმპერიის ის რეგიონია, სადაც ჩაისახა და გავრცელდა ქრისტიანული იდეები.

რომი რეგიონში ცდილობდა თავისი გავლენის შენარჩუნებას , რისთვისაც ზღვისპირა ციხეებსა და ქალაქებში (ტრაპიზუნტი, აფსარი,ფაზისი, დიოსკურია-სებასტოპოლისი) გარნიზონები ჩააყენა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ტერიტორიებიდან წამოყვანილ ლეგიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ნაზიარები იყო ქრისტიანულ იდეებს.

ასე , რომ ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ვითარება, რომელიც ძლიან ჰგავდა ძველი და ახალი წელთააღიცხვების მიჯნაზე რომის აღმოსავლურ პროვინციებშ, კერძოდ, პალესტინაში, შექმნილ მდგომარეობას (ანარქია, რომაელთა თავნებობა, მოსახლეობის ეკონომიკური და სულიერი გაღატაკება). რამაც წარმოშვა ქრისტიანული იდეები. ამან ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა აქ ქრისტიანული იდეების გავრცელებას (ინგოროყვა,1954:223).

საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, რადგან ჩვენში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს. ამ მისიის წინამძღოლად წმ. ანდრია პირველწოდებული იყო, რომელიც ქართულ საეკლესიო ტრადიციაში პირველმქადაგებლის სახელით იხსენიება. მოციქულთა ქადაგება ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, მაგრამ ამასთანავე ყველა ავტოკეფალური ეკლესია თანასწორუფლებიანია ერთმანეთის მიმართ.

ქართლში (იბერიაში) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მირიან მეფის დროს გამოცხადდა. საქართველოს ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა და დამოუკიდებლობა მოგვიანებით, ვახტანგ გორგასლის დროს, მიიღო, რაც დაადასტურა კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680 წ.) : ,,ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივთა, ვითარცა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიაში“(ხალვაში, 2011:10).

იმ ფაქტს, რომ ანდრია პირველწოდებულმა ნამდვილად იქადაგა საქართველოში, ამყარებს პროფესორ პაპუაშვილის მოსაზრება, ის გვეუბნება რომ ამ პერიოდისათვის ბიზანტიას მწვავე ბრძოლები ჰქონდა გაჩაღებული ხალიფატთან, რის გამოც ცდილობდა ქართველებზე პირდაპირ პოლიტიკური მბრძანებლობის მოპოვებას, საამისოდ ბიზანტიელებმა გამოიყენეს ბერძნულად დაწერილი თხზულება, რომელშიც ნათლად არის გადმოცემული, რომ ანდრიამ ნამდვილად იქადაგა

დასავლეთ საქართველოში და აღიარებული იქნა როგორც კონსტანტინეპოლის პატრონად და მფარველად განსაკუთრებით 357 წლის შემდეგ, როცა მისი ნეშტი იმპერატორმა კონსტანტინემ კონსტანტინეპოლში გადმოასვენა. ზუსტად ამ პერიოდისათვის ბერძნებსა და ქართველებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, ქართველებს არ სურდათ ბერძენთა ბატონობა, სწორედ ამიტომ მათ სცადეს იმ ფაქტის გაბათილება, რომ ქართული ეკლესია ანდრიას მიერაა დაფუძნებული. XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ეჭვქვეშ დადგა, რადგან არსებობდა აზრი, რომ ავტოკეფალიის უფლება მხოლოდ იმ ეკლესიებს აქვთ, რომლებიც მოციქულებმა დაარსეს. საქართველოს ეკლესია კი, ანტიოქიის იმჟამინდელი მესვეურების აზრით, არ იყო მოციქულთა მიერ დაარსებული. ანტიოქიის პატრიარქთან დისკუსიის დროს საეკლესიო დამოუკიდებლობის დაცვა წმ. გიორგი მთაწმინდელმა შეძლო და ყველა არგუმენტი ,,ანდრია მოციქულის მიმოსვლის ტექსტიდან“ მოიყვანა, რომელიც ქართულ ენაზე მისმა დიდმა წინამორბედმა ეფვთიმე ათონელმა თარგმნა. ეს ტექსტი ადასტურებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა სამმა მოციქულმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. წმინდა ანდრიასა და მის ძმას, სიმონს, ქრისტემ თევზაობის დროს მოუწოდა და ძმებს ,,ადამიანთა მებადურებად გადაქცევა“ აღუთქვა რითაც მათი მოციქულებრივი მისია გაცხადდა.

საინტერესოა, საიდან ეწოდა წმ. ანდრიას სახელი ,,პირველწოდებული“, როგორც რამაზ ხალვაში მიუთითებს თავის სახელმძღვანელოში: ,,წმ. ანდრია ქრისტესთან მისვლამდე წმ. იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა. ნათლისღების მეორე დღეს კი მოციქულთაგან პირველი შეხვდა მაცხოვარს და მაშინვე გაჰყვა მას, რის გამოც აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციაში ,,პირველწოდებულის“ სახელი დაიმკვიდრა. მანვე მიიყვანა ქრისტესთან თავის ძმა სიმონი.

აჭარაში ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში ქრისტიანობის გავრცელებას უამრავი ფაქტორი უწყობდა ხელს, მათ შორის პირველი საუკუნის 70-იან წლებში

ებრაელების განდევნა და საქართველოში ჩამოსახლება, რომ აღარაფერი ვთქვათ აჭარის ტერიტორიაზე არსებულ ქრისტიანულ ცენტრებზე, როგორიცაა პეტრა-ციხისძირი და გონიო-აფსაროსი. ამასთანავე, ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდნენ სხვადასხვა ჩამოსახლებული ტომებიც. როგორებიცაა აბსილები, აბასკები, სანიგები და სხვა. ამ მოსაზრებას ამყარებს ი,ჯავახიშვილის კვლევებიც, სადაც ის გვეუბნება ,,ქართველ ტომებს სათავისო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასთვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართველური წარმართობაც ყოფილა (ჯავახიშვილი,1979:155).

ახ.წ. I საუკუნეში მიმდინარე მოვლენები, ქრისტეს მოციქულთა მოღვაწეობა საკმაოდ ცნობილი იყო ქართლის დედაქალაქ მცხეთაშიც, რასაც ამტკიცებს ,,ქართლის ცხოვრების“ ჩანართიც, სადაც ნათქვამია, რომ როცა იესომ თავი ღვთის ძედ გამოაცხადა, იერუსალიმელმა ებრაელებმა მოიწვიეს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც ,,მეცნიერნი სჯულისანი“, ,,რათა განებჭოთ და განეკითხათ „ ეს საკითხი. მაცხოვრის ცად ამაღლების შემდეგ მოწაფეებმა სამოციქულოდ გაიყვეს ქვეყნები, საქართველო ღვთისმშობელ მარიამს შეხვდა, რომელმაც საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოაგზავნა. ანდრია ,,მოვიდა ...ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა“ აქედან კი ,,შევიდა ქუეყანაა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგებად სახარებისა“... იქ, სადაც ღვთისმშობლის ხატი დაასვენეს, ,,აღმოეცენა წყარო და ფრიად შუენიერი და დიდი“.მოციქულმა დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი.. აღაშენეს ეკლესია შუენიერისახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლის“ (ქ.ც. 1955:39).

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით არსებობს ცნობები, სადაც განხილული არის ის მარშრუტები, სადაც ანდრია პირველწოდებულმა დადგა პირველად ფეხი და გაავრცელა ქრისტიანობა. ასეთი ცნობილია სულ სამი მარშრუტი. პირველი მოგზაურობის დროს ანდრია

პირველწოდებულმა პეტრე მოციქულთან ერთად მოიარა სინოპი, ანკბირია, ანტიოქია ამ მოგზაურობის მთავარი შედეგი იყო მატათას საპყრობილედან დახსნა, რის შემდეგაც ანდრია პირველწოდებული მატათასთან და 7 მოციქულთან ერთად ამასინელტა ქალაქში წავიდა, სადაც აღაშენეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, ამის შემდეგ ის მივიდა ,,მეგრელთა სოფელ“ ტრაპეზუნტში, შემდეგ ,,ქუეყანასა ქართლისასა“ და ბოლოს პართიის გზით დაბრუნდა იერუსალიმში.

მეორე მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებული ანტიოქიიდან ეფესოში გადავიდა იოანე მახარობლის თანხმლებით, სადაც მას მაცხოვარი გამოესახა, რის შემდეგაც წავიდა ლავდიკიაში (ფრიგია), შემდეგ ოდისოში (ამასია) გადაკვეთა კულუმბოს მთა და ჩავიდა ნიკეაში. ნიკეაში ჩასვლისთ მან უამრავი სასწაული გააკეთა. განდევნა ეშმაკები, ურჩხულები, ავაზაკები, შემუსრა კერპები. მოინახულა სხვადასხვა ადგილები. მაგ: ნიკომიდია, ქალკიდონი, ამასტრიდი, ხარატი,სინოპი და ა.შ. ბოლო კი მისი მეორე მოგზაურობის შემდეგ ნეოკესარიის გავლით ჩავიდა სამოსატში და აქედან დაბრუნდა იერუსალიმში.

მესამე მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებულმა მოციქულებთან ერთად გაიარა ქალაქი ედეა, სადაც დატოვა თადეოსი, მან კი მატათასთან და სვიმონ კანანელთან ერთად შემოვიდა საქართველოში, მდინარე ჭოროხის აუზამდე. ამის შემდეგ ის ჩამოშორდა მოციქულებს და გადავიდა ჯიხეთში, სადაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და ჩავიდა ბოსფორში, აქედან- ,,ქეროვნეთში“- გუთების ქალაქში. აქედან გადავიდა სინოპში, სადაც აკროპოლისის ადგილას ღვთისმშობლის ტაძარი ააშენა. მისი მოგზაურობა კი საბოლოოდ ქაის ქალაქ პატრში დასრულდა, სადაც შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველი მეცნიერების უმეტესი ნაწილი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლას უკავშირებს მესამე მარშრუტს, როცა მოადგა ,, ქუეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარემდე ჭოროხისა მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას საქართველოში უამრავი წინააღმდეგობა

შეხვდა მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხის მოგვარება, რადგან პირველ რიგში ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას, ფეოდალური კლასის გაძლიერებას და მასთანავე ქვეყნის კონსოლიდაციასა და ცენტრალიზაციას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართველი ერის არსებობისათვის.

ლეონტი მროველის ,,მეფეთა ცხოვრებაში", ასევე ,,მიმოსვლის' ტექსტს უკავშირდება ანდრია მოციქულის ქადაგება ,,გზასა კლარჯეთისასა". ,,მიმოსვლაში", მართალია, კლარჯეთი ნახსენები არ არის, აღნიშნულია, რომ წმ. ანდრია მესამე მოგზაურობის დროს სხვა მოციქულებთან ერთად მოდგა ,,ქუეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა". კლარჯეთი ჭოროხის აუზში მდებარეობს, ამიტომ ლეონტი მროველი აკონკრეტებს წმ. ანდრია ,,წარვიდა გზასა კლარჯეთისასა" (ხალვაში, 2011: 18).

წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების ფაქტი ორიგინალურად გაიაზრა იოანე ანჩელმა (რკინაელმა), რომელმაც თამარის მეფობის დროს 1184-1193 წლებში, დაწერა ჰიმნოგრაფიული კანონი ,,გალობანი ანჩის ხატისანი", სადაც ვკითხულობთ : ,,მოიწინეს უკვე ედესე ქალაქად, სადა-იგი დაშთა თადეოს ავგაროზ მთავარისა თანა , რომლისადაცა ჴელით უქმნელი იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი მასვე თადეოსაა პირველ მიერთუა და რომლისაგან მეყსეულად მიიღო მთავარმან მან ჴორციელი სიმრთელე და სულიერი სარწმუნოება ". ხოლო დიდებული ანდრეა სხუათა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქით-ქალაქად და სოფლითი-სოფლად ასწავლიდეს ერთი და იქმოდეს სასწაულთა და ცესრეთ მოიწინეს ქუეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედ ჭოროხისასა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა" ,,მიმოსვლის" ეფვთიმესეული თარგმანის განხილული ფრაგმენტი დუბლირებულია ,,ქართლის ცხოვრების" მეორე ჩანართის დასაწყისშიც, მაგრამ ამჯერად მასში გამოტოვებულია ინტერპოლაციები და მოციქულის იერუსალიმში დაბრუნების ეპიზოდი. რის ნაცვლადაც დაკონკრეტებულია, რომ ,,ქუეყანა

ქართლისასა. დიდ-აჭარა ეწოდების“.. ,,ახალი ქართლის ცხოვრების „გვიანდელ რედაქტორებს ეკუთვნით, რომლებმაც ამ შუალედური ფრაზით ერთმანეთს დაუკავშირეს ,,მიმოსვლის“ ქართული რედაქცია და მესხური გადმოცემა წმ. ანდრიას აჭარასა (დიდჭარა) და სამცხეში (აწყური) ქადაგების შესახებ (ხალვაში, 2011: 47).

,,ანდრია მოციქულის მიმოსვლის“ პირველმა ქართულმა რედაქციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მესხური გადმოცემის წარმოქმნისათვის. ამ უკანასკნელის ვრცელი ქართული ვერსია ,,ახალ ქართლის ცხოვრებაშია“ წარმოდგენილი და წმ. ანდრიას მისიონერული მოგზაურობების მარშრუტს ორმხრივ განავრცობს: ჭოროხის აუზის ქვეყნებში დამატებით ასახელებს აჭარას, ხოლო მტკვრის აუზის ქვეყნებში -სამცხეს. ფაქტია ისიც, რომ ,,მიმოსვლის“ ქართული რედაქცია პირველადია, მესხური გადმოცემა კი-მეორეული, რადგან არც საკუთრივ სამცხე (აწყური) და არც აჭარა (დიდაჭარა) ,,მიმოსვლის“ პირველ ქართულ რედაქციაში არ იხსენიება (ხალვაში, 2011: 75).

აჭარაში (დიდაჭარაში) ქადაგების ეპიზოდი ,,ახალ ქართლის ცხოვრებაში „უფრო ვრცელია, თუმცა ,,თხრობაში“ თითქმის უცვლელად მეორდება ქართული ვერსიის ძირითადი რეალიები, როგორიცაა: ანდრია მოციქულის აჭარაში მოსვლა, წარმართი მოსახლეობის უგუნურება, ხატის დასვენებით მაკურნებელი წყაროს აღმოდინება, მასში ხალხის მონათვლა, ეკლესიის მშენებლობა, აწყურის ხატის ასლის შექმნა და ეკლესიაში დასვენება.

დ. მუსხელიშვილის მიხედვით ,,დიდაჭარაში“ მთლიანად აჭარისწყლის ხეობა უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამოსავლად მაინც ქართული ვერსიის მონაცემი უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ დიდაჭარა- დღევანდელი ხულოს რაიონის სოფელი-ისედაც აჭარისწყლის ხეობაში მდებარეობს და ბერძნულ ვერსიაშიც კონკრეტულ დასახლებაზეა საუბარი, სადაც წმ. ანდრიამ ეკლესია ააშენა და მასში ღვთისმშობლის ხატის ასლი დაასვენა.

ბერძნული ვერსიის (ავტორი, მანულ რიტორი,) დასკვნით ნაწილი ქართულთან შედარებით უფრო სრულია და შატბერდის ხატთან ერთად მასში საუბარია მოციქულის მიერ აწყურიდან პატრამდე განვლილ გზაზე.

სამართლიანად აღნიშნავს რ. ბარტაკიანი, რომ ბერძნული ტექსტის ბათოში ბათუმი იგულისხმება. სახელწოდება ბათოს ბერძნულ ლიტერატურაში პლინიუსისა და არიანეს დროიდან გვხვდება და გადმოგვცემს ადგილობრივ ტოპონიმს (ბათ-ომ-ი). ბერძნებს ეს სახელწოდება გააზრებული აქვთ, როგორც ბერძნული ბათუს -,,ღრმა". ამგვარ მნიშვნელობას შეესაბამება ბათუმის ლათინური სახელწოდება ,,პონტოს ალთუს",. ნიშანდობლივია, რომ XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ლაონიკე ხარკოკონდილე, მანუელ რიტორის მსგავსად, ბათუმს ბათუდ-დ იხსენიებს.

ამრიგად, მანუელის ,,თხრობის" მიხედვით წმ. ანდრია აწყურიდან ბათუმში ჩავიდა : ,,მიიწია ადგილად, რომელსაც ბათუმი ეწოდება, სადაც არის ნავსადგური და იქიდან სებასტოპოლისში, ანუ ცხუმში გაემგზავრა.

წმ. ანდრიას ქადაგების მარშრუტში ბათუმი მანუელ რიტორმა ჩართო. ეს ნიშანდობლივიცაა, რადგან ბათუმის ნავსადგური (,,ჰავანმა") საერთაშორისო ფუნქცია მანამდე რამდენიმე საუკუნით ადრე (XII ს.) შეიძინა, როცა აზიის სახმელეთო გზებზე თურ-სელჩუკები გაბატონდნენ და მსოფლიო სატრანზიტო გზებმა საქართველოში გადმოინაცვლეს. ,,აბრეშუმის გზის" ერთი შტო ამ დროის ბათუმზე, აჭარასა და სამცხეზე გადიოდა (ხალვაში, 2011: 17).

1664-1666 წლებში საქართველოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის ცნობით, ქართველები ქრისტიანობას ანდრიამ აზიარა, მაგრამ შემდეგ ისინი ძველ რწმენას დაუბრუნდნენ ამიტომაც ნინომ ქართველები ხელახლა გააქრისტიანაო (ბექირიშვილი, 1990: 13).

XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის ნაშრომის- ,,ცხოვრება ქართველ მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა უძველესი დროიდან V საუკუნემდე"- ჩანართის მიხედვით, ანდრია ჯერ ტრაპიზონის მხარეში მოვიდა ქრისტიანობის საქადაგებლად, მაგრამ მოსახლეობის უგუნურობის გამო, იქაურობას

გაეცალა და ,,შევიდა ქუეყანას ქართლისასა, რომელსაც დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგებად სახარებისა... ყოველნივე მოაქცევინა და მოიყვანნა სარწმუნოებად, რამეთუ ადგილსა, რომელსაც დაასვენა ხატი ყოვლად წმინდისა ღმერთის მშობლისა...და დაადგინნა მღვდელნი, დიაკონნი და დაუდვა წესი და საზღაური სარწმუნონებისა და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღვთის მშობელისასა“.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის გ. მერცბახერის აზრითაც, ქრისტიანული რწმენის გავრცელება კოლხეთში პირველად ანდრიამ იწყო. შემდეგ მათემ (შევნიშნავთ, რომ მათეში მატათა უნდა იგულისხმებოდეს) (II ს.) და მისმა ამხანაგებმა ებრაელი კოლონისტების დავალებით, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ იერუსალიმთან.

სხვა ცნობების მიხედვით, წმინდა მათე (მატათა) კოლხიდაში, კერძოდ აჭარაში ქადაგებდა ქრისტიანობას. ეს კარგად ჩანს დოროთეოსის, ტვირის ეპისკოპოსისა და ნიკიტა პაფლაგონიელის ჩანაწერებიდან. ისინი იუწყებიან, რომ მათე შეუერთდა, იუდას ნაცვლად ქრისტიანობა იქადაგა, გარდაიცვალა და დაიმარხა პირველს ეთიოპიაში, ხოლო ძველნი ეთიოპიას უწოდებდნენ კოლხიდასაც ეს უფრო ნათელი ხდება სოფრონისა და იღუმენის (Xს.) სიტყვებიდან. მათ ნაწერებში ვკითხულობთ, რომ წმ. მათე ქადაგებდა და დაიმარხა სწორედ იმ ეთიოპიაში, სადაც არის აფსარი და გონიო. ეს ორი მდინარე მარტო კოლხიდაშია-წერდა ამ ცნობის მიმომხილველი ალ. ჭყონია (ბექირიშვილი, 1990: 16).

VII საუკუნის 30-იან წლებში შედგენილი ცნობილი ბიზანტიური ნაწარმოებების ,,პაქსალური ქრონიკის“ ავტორიც გადმოგვცემს, რომ ანდრია ქადაგებდა იქ, სადაც არის ციხე აფსარი და მდ. ფაზისი. ამასვე წერდა VII საიკუნის ბიზანტიელი მოღვაწე კონსტანტინეპოლელი. ანდრიამ იქადაგა იქ, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოსის ნავსადგური და მდინარე ფაზისი ..და გაანათლა მრავალნი

ზღვისპირა მცხოვრებნი“, ანუ ახლანდელი ხელვაჩაურის რაიონის სოფელი გონიო და იქვე ჩამდინარე ჭოროხის მდებარე სხვა სოფლების შემოგარენნი, ცნობილია, რომ ანტიკური პერიოდის ამ მდინარესაც ფაზისის სახელით მოიხსენიებდნენ, რასაც იზიარებენ აკადემიკოსები ს. ყაუხჩიშვილი, გ. მუსხელიშვილი, გ. ქავთარაძე სა სხვა. მოციქულთა მოსვლას აჭარში ისიც განაპირობებდა, რომ აკად. ი. მანანდიანის ცნობით, პირველი საუკუნიდან მოყოლებული, ოლთის-არდაგანის მდინარე აფსარ-ჭოროხს დაჰყვებოდა გზა, რომელიც დიოსკურია- სებასტოპოლისამდე ანუ ახლანდელ სოხუმამდე აღწევდა.

ანდრია პირველმოციქულთან დაკავშირებით, პროფესორი ი. პაპუაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ასეთ გარემოებაზე: იმის გამო, რომ IX საუკუნეში ბიზანტიას მწვავე ბრძოლები ჰქონდა ხალიფატთან, ქართველებზე პირდაპირ პოლიტიკურ ბატონობას ეძებდა. საამისოდ ბიზანტიელებმა გამოიყენეს ,,IX საუკუნის დამლევს ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულება , რომელსაც ეწოდება : მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულთა ანდრიასი“. ამ თხზულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ანდრიამ ქრისტიანობა იქადაგა დასავლეთ საქართველოში ,,ქუეყანასა ქართლისასა“...ანდრია აღიარებულ იქნა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პატრონად და მფარველად განსაკუთრებით 357 წლიდან, როდესაც მისი ნეშტი იმპერატორმა კონსტანტიმ კონსტანტინოპოლში გადმოასვენა. ეს გარემოება აღნიშნულ საპატრიარქოს იმის საბუთს აძლევდა, რომ პრეტენზიებისათვის ჩაერეოდა ანდრია მოციქულის მიერ მოქცეულ ხალხთა ცხოვრებას. მ. ბერძენიშვილს მოჰყავს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა, კერძოდ, ის, რომ 553 წელს კონსტანტინოპოლში გამართულ მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მიღებულ კანონებს ხელს აწერდნენ ფაზისის, კამახის, სებასტოპოლისა და ,,იოანე უღირსმან ეპისკოპოზმან ქალაქისა პეტრონისაგან (ბექირიშვილი, 1990:22).

ამ ტექსტის გამომცემელი, ცნობილი მკვლევარი თედო ჟორდანია პეტრონისად პეტრა ციხეს მიიჩნევდა. ხელნაწერსა და ჩვენ მიერ ციტირებულ ადგილს, იგი ათარიღებდა XII საუკუნის დასასრულით. თ. ჟორდანიას აზრით, ეს დოკუმენტი გადაწერილია ძველი ვარიანტიდან.

თავი II. ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დასავლეთ საქართველოში I-X საუკუნეებში

ქრისტიანობის გავრცელების საკითხი, უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, საკმაოდ აქტუალურია. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უამრავი მეცნიერის მოსაზრება, ამასთანავე წერილობითი და არქეოლოგიური ძეგლები. ამის მიხედვით, ნაშრომში მიმოხილულია რამდენიმე ვერსია. ეს საკითხი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ქართული ეკლესიისათვისაც. ქრისტიანობა ჩაისახა ჩვ. წ-ის

დასაწყისში რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ პალესტინა იუდეაში. ამ დროს, მართალია, იმპერია გარეგნულად ბრწყინავდა, მაგრამ ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. იმპერია შეაზანზარა პროვინციებში დაწყებულმა გრანდიოზულმა აჯანყებებმა და 68-69 წლების სამოქალაქო ომმა. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ჩვ. წ-ის 67 წლის აჯანყებამ პალესტინაში. ამიტომ იმპერიის ჯარებმა სასტიკად ჩაახშვეს აჯანყება, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს ებრაელთა პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იერუსალიმი თავისი ტაძრით, გაძარცვეს ქვეყანა და ხელთ იგდეს ასი ათასი მონა.

I საუკუნის ბოლოსათვის იმპერიამ პროვინციებში დაამსხვრია წინანდელი პოლიტიკური წყობილება და ცხოვრების ძველი საზოგადოებრივი პირობები. მოსახლეობა დაიყო რომის მოქალაქეებად და ქვეშერდომებად.

მოსახლეობა, განსაკუთრებით პროვინციებისა, სასოწარკვეთილებამ მოიცვა. სწორედ ამ საყოველთაო ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური კრიზისის პირობებში წარმოიშვა ქრისტიანობა, რომელიც სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით, შედარებით გვიან, აღმოსავლური ცივილიზაციის განვითარების იმ საფეხურზე წარმოიშვა, როცა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი უაღრესად დაძაბული იყო. ასეთ პირობებში რელიგიას, რომელსაც ფართოდ გავრცელების პრეტენზია ჰქონდა, უნდა ეპასუხა ეპოქის მოთხოვნებისათვის. შეეთავსებინა თუნდაც ილუზიური, მაგრამ წონადი წინადადებები, საშუალებები გზები საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობებისა და პრობლემების გადასაწყვეტად; ახალ რელიგიას უარი უნდა ეთქვა ეთნიკური შეზღუდვებისათვის, რაც ადრინდელ რელიგიებს ახასიათებდა; ახალი რელიგია უნდა ყოფილიყო ინტელექტუალური, რომელსაც ათვისებული ექნებოდა ახლო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონებში არსებული რელიგიების კულტურულ-თეოლოგიური მონაპოვარი.

ქრისტიანები თავიანთი სახელით რომაელ მწერალთა თხზულებებში პირველად მოხსენიებულნი არიან იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) დროს ქალაქ რომში მომხდარი უზარმაზარი ხანძრის მოვლენების აღწერისას. ქრისტიანული იდეები და შეხედულებები სწრაფად გავრცელდა რომის იმპერიის სხვა პროვინციებსა და მოსაზღვრე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. იესო ქრისტესა და ქრისტიანობის შესახებ პირველი ცნობა საქართველოში, კერძოდ, ქართლში, პირველი საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოვიდა, როცა იესომ თავი ღვთის ძედ გამოაცხადა და იერუსალიმელმა ებრაელებმა მიიწვიეს ყველა ქვეყნიდან ,მათ შორის საქართველოდანაც, ,,მეცნიერნი სჯულისანი". რათა ,,განებჭოთ და განეკითხათ" ეს საკითხი.

,,თავდაპირველად, როგორც ვიცით, ქრისტიანობა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილიდან შემოვიდა და აქედან გავრცელდა სრულიად საქართველოში. ამ თემასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს გავერკვეთ მაშინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. საკმაოდ აქტუალური თემაა ადმინისტრაციული და ეთნოგრაფიული საზღვრების დაზუსტებაც, რადგან არსებობს უამრავი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აჭარა არ მოიცავდა მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას და მასში შედიოდა ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმის მიმდებარე ტერიტორიები. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, მათ შორის ერთ-ერთია ლეონტი მროველი. მისი გადმოცემის თანახმად, ქვეყნის საერისთავოებად დაყოფისას ,,მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტაშისკარიდან, ვიდრე არსეანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა." (ქ.ც.1955:24). ლეონტი მროველთან ერთად საკუთარი მოსაზრება ნათლად აქვს გამოხატული ისტორიკოს ჭყონიასაც, რომელიც გვეუბნება რომ ,,საქართველო არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა სადაც ქრისტიანობა გავრცელდა", უკვე პირველ საუკუნეში აქ მოვიდნენ პირველმოციქულები ანდრია და სიმონ კანანელი, შემდეგ მათე, ბათლომე, იულია თადეოზი ლევიად წოდებული და თადეოზი"(ჭყონია,1990:257). საზღვრების დაზუსტებასა და მარშრუტთან

დაკავშირებით არსებული საკითხისთვის ნათელის მოსაფენად ქრისტეშობის 2000 წლისთავის საიუბილეო თარიღის აღსაღნიშნავად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების ხელმძღვანლის, მეუფე დანიელის თაოსნობით შემუშავდა საიუბილეო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ მისიონერულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, გადაწყდა, მოწყობილიყო მოლოცვითი მოგზაურობები ქართველთა განმანათლებლების: დასავლეთ საქართველოში წმ.ანდრია პირველწოდებულის, ხოლო წმ.ნინოსი აღმოსავლეთ საქართველოში, შეიქმნა სამეცნიერო ექსპედიცია. რომელიც ძველ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოიკვლევდა წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ჩამოსვლასა და სამოციქულო მოღვაწეობის მარშრუტს. 2001 წელს დაფუძნდა ,,ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი“, რომელსაც დაექვემდებარა ექსპედიცია ,,წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიცია“, რომელშიც მონაწილეობდნენ ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგი გივი ბოლქვაძე, მწერალი კოტე ჯანდიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ ბუბულაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, დეკანოზი ბასილი (ჟორჟიკაშვილი) და ფოტო-ჟურნალისტი მიხეილ ფხაჭიაშვილი, რომლებმაც შეიმუშავეს სპეციალური მარშრუტი: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში-მდინარეების: ხანისწყლის, ქერშავეთის, ჩხერიმელსა და სახედრის ხეობის გავლით აჭარა-მესხეთის(ფერსათის) ქედზე ზეკარის ,,რკინის ჯვრის“ და ხარაგაულის ,,რკინის ჯვრის“ უღელტეხილების გავლა. ჯგუფს უნდა დაეთვალიერებინა მდ. ოძრხისწყლის ხეობა, კურორტი აბასთუმანი (ისტორიული ოძრხე), ზადენგორი, სოფელი ანდრაწმინდა, აწყური, მდ. ქვაბლიანის ხეობა, აჭარაში- გონიოს (აფსარის) ციხე, მდ. აჭარისწყლის ხეობა, დაბა ხულო, სოფელი დიდაჭარა, მესხეთისა და

აჭარის სასაზღვრო რაიონები, აჭარა-მესხეთის (ფერსათის) ქედი, გოდერძის უღელტეხილი (მუსხელიშვილი,2009:5-6).

,,ქრისტიანობის გავრცელებას და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ეგრისში თან მოჰყვა საეკლესიო მშენებლობა და ცვლილებები სოციალურ, კულტურულ და ყოფით ცხოვრებაში. ამ მხრივ გამონაკლისი არაა ისტორიული აჭარის ტერიტორიაც. განსაკუთრებით ბარის აჭარაში (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი, ქალაქ ბათუმის შემოგარენი, გონიო) მრავლად გვაქვს იმის დამადასტურებელი მასალები, რომ ჩვენი წინაპრები ადრეული ხანიდან ეზიარნენ ქრისტიანულ იდეებს, უშენებიათ სამლოცველო-ეკლესიები და ტაძრები. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ ძველ კულტურულ ხალხებთან, რაც კარგად ასახულია მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაში.

ქრისტიანობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები. ძვ.წ.პირველი ათასწლეულის დამდეგიდან, თუ უფრო ადრე არა, გონიოს მიდამოებში შავი მეტალურგიის მსხვილი სამთო-მეტალურგიული კერა (ავგია, ჭარნალი, ახალსოფელი) ფუნქციონირებდა. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ე. წ. დიუნური დასახლების ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. VIII –VII საუკუნეებით თარიღდება. გონიო-აფსაროსი არაერთხელ მოიხსენიება რომაელ და ბიზანტიელ ავტორებთან, როცა ქრისტეს პირველმოციქულთა მიერ ქრისტიანობის გავრცელებაზე საუბრობენ (დიასამიძე,2001:162-174).

ამ ექსპედიციის დროს მოპოვებულმა მასალებმა (არქიტექტურული ძეგლების ნანგრევებმა) კიდევ უფრო მეტი სიცხადე შესძინა(ან უარყო) მეცნიერთა, მოგზაურთა, ეთნოგრაფთა ჩანაწერებში შეტანილი ფაქტები და ცნობები, რომელთა შესახებაც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. ექსპედიციის წევრები ავიდნენ სოფელ დიდაჭარაში. ნაშრომში ვკითხულობთ: აქ მდებარეობდა, გადმოცემით, წმ. მოციქულის მიერ დაარსებული პირველი ტაძარი და სადაც ახლა არის მისი სახელობის ნიში. პირველ რიგში, ავედით სწორედ იმ ბორცვზე, ე. წ. ,,ნაკაფის სერზე“,

რომელიც სოფლის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და რომელსაც ადგილობრივები ,,თარანგელს (მთავარანგელოზს) უწოდებს...სწორედ აქ ნავარაუდევი იყო ანდრია პირველწოდებულის აშენებული ეკლესიის არსებობა. დიდაჭარაში შევხვდით და გავესაუბრეთ მოხუც ეზი მელაძეს და როსტომ წულუკიძეს, რომლებმაც გვიამბეს, რომ სოფლისა და მდინარის სახელი, სავარაუდოდ, ,,დედო აჭარიდან“ მოდის, რომ უბნებს დღემდე შემორჩა ქრისტიანული მსახურებისათვის დამახასიათებელი სახელწოდებები და გადმოცემები (,,თარანგელის ბორცვი“, ,,ნაკაფის სერზე“ ქალების მიერ სანთლების დანთება, გალობა, კვერცხის შეღებვა, წმინდა წყარო, რომელზეც მიკარება არ შეიძლება, კვირკობას რომ მუსლიმანებიც აღნიშნავენ და ა.შ. დაფიქსირდა ტოპონიმები (ხუცური, ეკლიყანა, ელიაწმინდა) (მუსხელიშვილი,2009:16-32). ,,იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ აჭარა აჭარიწყლის ხეობის გარდა სხვა ტერიტორიებსაც მოიცავდა, ლეონტი მროველის მსგავსად სხვა მეცნიერების მოსაზრებებიც ამყარებს ამ ფაქტს, მაგალითად ვახუშტი ბატონიშვილი ,, საქართველოს გეოგრაფიაში“, როცა იგი გურიის აღწერისას ჯუმათის ეკლესიაზე საუბრობს, 525-ე სქოლიოში განმარტავს, ,, ჯუმათი მაღალს გორაზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათომის მხარე, შავი ზღვა,ფოთი.“ (ვახუშტი ბატონიშვილი,1904:313).

ვახუშტი ბატონიშვილის მსგავს მოსაზრებას იზიარებს აკადემიკოსი მუსხელიშვილიც, საკუთარ მოსაზრებაში ის წერს ,,რადგანაც ოდესღაც არსებობდა ,,ქვეყანა დიდაჭარა“, რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, ცხადია ეს გულისხმობს ,,მცირე აჭარის“ არსებობას (მუსხელიშვილი,2007:74-103). დ. მუსხელიშვილის აზრს იზიარებს ბიჭიკო დიასამიძეც თავის ნაშრომში და წერს:

,,აი, ასეთ პირობებში გამოჩნდნენ საქართველოს, ისტორიული კოლხეთის, ტერიტორიაზე ქრისტიანობის პირველი მქადაგებელნი, პირველმოციქულები- ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა, რასაც გვაუწყებს

,,ქართლის ცხოვრების“ ჩანართი, რომლის მიხედვით, ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელთან ერთად ეწვია ჯერ ტრაპიზონის მხარეს, შემდეგ ,,ქუეყანასა, რომელსაც დიდ-აჭარა ეწოდების“. აქ ხსენებული ,,ქვეყანა ქართლისა დიდაჭარა“, აკად. დ. მუსხელიშვილის აზრით, მთლიანად აჭარისწყლის ხეობას უნდა გულისხმობდეს, რადგანაც გაცილებით ადრე აჭარის ტერიტორიაზე, ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, გაერთიანებათა პირველი ფორმა ,,ხევები“ იყო. ცალკეულ,, წვრილ ხევთა“ შეერთების საფუძველზე მოგვიანებით წარმოქმნა ,,ხევი აჭარისა“, ისე, როგორც ძვ.წ-ის IX-VIII საუკუნეების ურარტულ წყაროებში მოხსენებული ,,ქვეყანა შეშეთი“ (შავშეთი), ქვეყანა ,,ზაბახა“ (ჯავახეთი), რომლებსაც ,,ქვეყანა დიაუხის“ (ტაო) მოკავშირენი არიან.

დ. მუსხელიშვილი ზემოთ აღნიშნულ მოსაზრების გარდა არის სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვით, წყაროში ხსენებული ,,დიდაჭარა“ გაიგივებულია ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარასთან. ვფიქრობთ, არც ეს მოსაზრება ცვლის პრობლემის არსს, რადგან ქრისტეს პირველმოციქულები ხომ უნდა შეჩერებულიყვნენ ერთ კონკრეტულ დასახლებაში და რატომ არ შეიძლება ეს ყოფილიყო დასახელებული სოფელი (დიასამიძე,2001:37).

ამასთანავე, ავტორი ბათუმს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად წარმოადგენს და არა გურიის შემადგენელ ნაწილად. თუმცა სხვა ადგილას დღევანდელი ქობულეთის რაიონს, ბათუმს, გონიოს და ერგეს გურიის შემადგენლობაში განიხილავს და გურიის საზღვრებს ასე განმარტავს: ,,ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღვამდე და განი ჭოროხიდან რიონამდე. „ როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი აქ გურიის საზღვრების სხვანაირ განმარტებას იძლევა, მაგრამ საკითხის გარკვევაში სიცხადე შეაქვს ისევ მისივე ნაშრომის სხვა ადგილას გამოთქმულ აზრს, კერძოდ, ჭოროხის ხეობის დახასიათების შემდეგ, როცა აღწერს აჭარისწყლის ხეობას, იგი წერს: ,,არამედ ვინადგან აღვწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა,აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის წყლის

შესართავიდამ“. ვფიქრობთ, აქ იმის განმარტებაა, თუ რატომ იწყებს აჭარის დახასიათებას „აჭარისწყლის შესართავიდამ“. ამას მოჰყვება ავტორის კიდევ სხვა განმარტება გურიის დახასიათების დასასრულს : „განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა“. აქ პასუხი ნათელია. ჩვენი აზრით, ვახუშტი ბატონიშვილი იმიტომ განიხილავს ბათუმს, გონიას და ერგეს გურიის აღწერისას, რომ ისინი ერთხანს გურიელს ეპყრა „ხოლო აჭარა და ჭანეთი განიხილებოდა სამცხესთან ერთად, რადგან ისინი ყოველთვის სამცხის ნაწილებად მიიჩნეოდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. ბაქრაძის XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერები. აჭარის ტერიტორიულ საზღვრებზე მსჯელობისას, ჩურუქ-სუსა (ქობულეთი) და ჩაქვის კაზებს იგი აჭარისაგან ხელოვნურად გამოყოფილად თვლიდა. იგი წერდა: „ეტყობა, ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა.“ (ბაქრაძე,1987:69).

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში აჭარის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გაბატონებული მდგომარეობის დამადასტურებელი ყველაზე მდიდარი მასალა მოპოვებულია ბობოყვათ-ციხისძირის ტერიტორიაზე. ციხისძირის სიძველეებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაზარდა ბიზანტიურ წყაროებში ლაზიკის ციხე-ქალაქ პეტრას შესახებ საინტერესო ცნობებმა, რადგან ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა დიდი უმრავლესობა აღიარებდა პეტრა-ციხისძირის იგივეობას. პროკოპი კესარიელის აღწერილი პეტრას ადგილმდებარეობა მიმსგავსებულია ციხისძირს, თვლიდნენ, რომ მან ტფილისის მსგავსი როლი ითამაშა დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. ამ იგივეობას მხარს ძალიან ბევრი მეცნიერი უჭერს. სიმონ ყაუხჩიშვილი პეტრასთან ბათუმსაც აერთიანებდა, ბიჭიკო დიასამიძის წიგნში ამის შესახებ ვკითხულობთ: „უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინდელი პეტრა მოიცავდა, როგორც ამ ციხეს, ისე ახლანდელ ბათუმს. უბათუმოდ ციხისძირი ვერ გამოდგებოდა მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქად , ისე, როგორც უციხისძიროდ ბათუმის დაცვა გარეშე მტრისაგან წარმოუდგენელია“. 1962-65 წლებში აქ

არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიცია აწარმოებდა. დადასტურდა,რომ ციხისძირში არსებობდა უძველესი ნამოსახლარი,რომლის საფუძველზეა აღმოცენებული ქალაქი პეტრა. აღმოჩენილი ეკლესია გვიანბრინჯაოს, ადრერკინის, ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანფეოდალურ-ადრეშუასაუკუნეების ხანის კულტურული ფენები. ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩნდა X-XII საუკუნეების ეკლესია. ამ ადგილზე ადრე სხვა, სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა, რომელიც VI საუკუნით თარიღდება. ბობოყვათის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა ბაზილიკური ნაგებობის ნაშთებიც. აქ ნაპოვნია ბოლნისურ ჯვრის გამოსახულება, რაც გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ეკლესია ნაშენები უნდა იყოს I და V-VI საუკუნეებში.

ექსპედიციის მონაწილეთა მოსაზრებებს ამყარებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლასთან და ქადაგებასთან დაკავშირებით არსებობს ცნობები, სადაც განხილული არის ის მარშრუტები, რომელზეც ანდრია პირველწოდებულმა დადგა პირველად ფეხი და გაავრცელა ქრისტიანობა. ასეთი ცნობილია სულ სამი მარშრუტი. პირველი მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებულმა პეტრე მოციქულთან ერთად მოიარა სინოპი, ანკბირია, ანტიოქია ამ მოგზაურობის მთავარი შედეგი იყო მატათას საპყრობილედან დახსნა, რის შემდეგაც ანდრია პირველწოდებული მატათასთან და 7 მოციქულთან ერთად ამასინელტა ქალაქში წავიდა, სადაც აღაშენეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, ამის შემდეგ ის მივიდა ,,მეგრელთა სოფელ“ ტრაპეზუნტში, შემდეგ ,,ქუეყანასა ქართლისასა“ და ბოლოს პართიის გზით დაბრუნდა იერუსალიმში.

მეორე მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებული ანტიოქიიდან ეფესოში გადავიდა იოანე მახარობლის თანხმლებით, სადაც მას მაცხოვარი გამოესახა, რის შემდეგაც წავიდა ლავდიკიაში (ფრიგია), შემდეგ ოდისოში (ამასია) გადაკვეთა კულუმბოს მთა და ჩავიდა ნიკეაში. ნიკეაში ჩასვლისთ მან უამრავი სასწაული

გააკეტა. განდევნა ეშმაკები, ურჩხულები, ავაზაკები, შემუსრა კერპები. მოინახულა სხვადასხვა ადგილები. მაგ: ნიკომიდია, ქალკიდონი, ამასტრიდი, ხარატი,სინოპი და ა.შ. ბოლო კი მისი მეორე მოგზაურობის შემდეგ ნეოკესარიის გავლით ჩავიდა სამოსატში და აქედან დაბრუნდა იერუსალიმში.

მესამე მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებულმა მოციქულებთან ერთად გაიარა ქალაქი ედეა, სადაც დატოვა თადეოსი,მან კი მატათასთას და სვიმონ კანანელთან ერთად შემოვიდა საქართველოში, მდინარე ჭოროხის აუზამდე. ამის შემდეგ ის ჩამოშორდა მოციქულებს და გადავიდა ჯიხეთში, სადაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და ჩავიდა ბოსფორში, აქედან- ,,ქეროვნეთში"- გუთების ქალაქში. აქედან გადავიდა სინოპში, სადაც აკროპოლისის ადგილას ღვთისმშობლის ტაძარი ააშენა. მისი მოგზაურობა კი საბოლოოდ ქაის ქალაქ პატრში დასრულდა, სადაც შეიპყრეს და სიკვდილით დაასაჯეს. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველი მეცნიერების უმეტესი ნაწილი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლას უკავშირებს მესამე მარშრუტს, როცა მოადგა ,, ქუეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარემდე ჭოროხისა" (ხალვაში, 2009:48-51).

ამ ბოლო, მესამე მოგზაურობის დასაწყისში ანდრია პირველწოდებული სხვა მოციქულთა თანხლებით მოვიდა ქალაქ ედესაში, სადაც თადეოზი დატოვა, თავად კი სიმონ კანანელი და მატათასთან ერთად საქართველოში შემოვიდა და იქადაგა ,, ქუეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა. საქართველოში, კერძოდ, სოსანგეთში (,,სოსანგეთელსა სოფელსა") დედაკაცი მთავარი/ მოაქცია, იქვე დატოვა მატათა ,,სხვათა მათ თანა მოწაფეთა" და სიმონ კანანელთან ერთად შევიდა ოსეთის ქვეყანასა. ლეონტი მროველის ,,მეფეთა ცხოვრებაში", ასევე ,,მიმოსვლის' ტექსტს უკავშირდება ანდრია მოციქულის ქადაგება ,,გზასა კლარჯეთისასა". ,,მიმოსვლაში", მართალია, კლარჯეთი ნახსენები არ არის, აღნიშნულია, რომ წმ. ანდრია მესამე მოგზაურობის დროს სხვა მოციქულებთან ერთად მოდგა ,,ქუეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცხრომლად ქადაგებდეს სახელსა

ღმრთისასა“. კლარჯეთი ჭოროხის აუზში მდებარეობს, ამიტომ ლეონტი მროველი აკონკრეტებს წმ. ანდრია ,,წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ (ხალვაში,2011:24-32).

მოციქულთა ქადაგება ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, მაგრამ ამასთანავე ყველა ავტოკეფალური ეკლესია თანასწორუფლებიანია ერთმანეთის მიმართ.ავტოკეფალიის თემის წამოწევა-გახსენება V-VIII საუკუნეებსა და IX საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა. შესუსტდა არაბთა შემოსევები, ფეოდალიზმი კიდევ უფრო განვითარდა, შესაბამისად, ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებს გაუჩნდათ განცალკევების სურვილი. ჩნდება ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრები, საფუძველი ეყრება ახალ სამეფო-სამთავროებს. მართალია უერთმანეთოდ ქვეყანა სუსტებოდა, მაგრამ საფუძველი ეყრებოდა თითოეული მათგანის განვითარება-წინსვლას.განსაკუთრებით დაწინაურდა აფხაზეთი ხაზართა დახმარების იმედით. აფხაზეთის ერისთავი ლეონი განდგა ბერძნებისაგან. მაგრამ არც ბერძნები დარჩნენ გულხელდაკრეფილნი- მათ დაიწყეს იმის შეხსენება, რომ ქართველები პირველმოციქულთა მიერ იყვნენ მოქცეულნი, მითუმეტეს, რომ VIII საუკუნიდან ეგრის-აფხაზეთმა ეკლესიური დამოუკიდებლობისათვისაც დაიწყო ბრძოლა.

,,ქართლში (იბერიაში) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მირიან მეფის დროს გამოცხადდა. საქართველოს ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა და დამოუკიდებლობა მოგვიანებით, ვახტანგ გორგასლის დროს, მიიღო, რაც დაადასტურა კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680 წ.) : ,,ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივთა, ვითარცა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიაში“.,,მოგვიანებით ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა, რადგანაც ანტიოქიის საპატრიარქო ტახტმა მოისურვა საქართველოს ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის წართმევა, რადგანაც თითქოსდა არცერთ მოციქულს არ დაუდგამს ფეხი. ამის დასამტკიცებლად კი აუცილებელი იყო ისეთი საბუთის

გამონახვა რომელიც ამ ფაქტს დაამტკიცებდა. სწორედ ამ დროისათვის ქართულ ეკლესიას მხსნელად მოევლინა გიორგი მთაწმინდელი, რომელსაც ხელთ ჰქონდა დოკუმენტი სადაც ეწერა იმის თაობაზე რომ ანდრია პირველწოდებულმა ნამდვილად იქადაგა საქართველოში. გიორგი მთაწმინდელმა ასეთი სიტყვებით მიმართა ბერძენთა **პატრიარქს ,,თქვენ იტყვით პირველ მოციქულ პეტრეს საყდარს ვზივართო, ჩვენ კი მისი ძმის ,, ნაილნი ვართ სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი"...მოციქულთაგან სიმონ კანანელი ,,ქუეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების"...ჩვენ ქართველები მათ ,,მცნებათა და ქადაგებათა...მტკუცე ვართ". ამიტომაც არ უნდა დაგემორჩილოთო.გიორგი მთაწმინდელის საბუთები და შეგროვებული მასალა თავისთავად იმდენად დამაჯერებელი იყო რომ ეჭვიც კი აღარ შეჰპარვია არავის, სწორედ ამიტომაც პატრიარქმა წინააღმდეგობის გაწევა და ხმის ამოღება ვეღარ შეძლო.გიორგი მთაწმინდელის წყალობით მაშინდელი წერილობითი და ნივთიერი წყაროები იმდენად განვითარებული იყო, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნებსაც კი აკმაყოფილებდა. ქართული ეკლესია სწორედ რომ გიორგი მთაწმინდელის მადლობელი უნდა იყოს, რადგანაც ნამდვილად რომ მძიმე ჟამს მან მოახერხა ქართული ეკლესიის ბერძნული მიმტაცებლობისგან ხსნა და ქართული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის შესრულება (ხალვაში,2011:4-6).**

წმინდა ანდრიასა და მის ძმას, სიმონს, ქრისტემ თევზაობის დროს მოუწოდა და ძმებს ,,ადამიანთა მებადურებად გადაქცევა" აღუთქვა რითაც მათი მოციქულებრივი მისია გაცხადდა. საინტერესოა, საიდან ეწოდა წმ. ანდრიას სახელი ,,პირველწოდებული", როგორც რამაზ ხალვაში მიუთითებს თავის სახელმძღვანელოში : ,,წმ. ანდრია ქრისტესთან მისვლამდე წმ. იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა. ნათლისღების მეორე დღეს კი მოციქულთაგან პირველი შეხვდა მაცხოვარს და მაშინვე გაჰყვა მას, რის გამოც აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციაში ,,პირველწოდებულის" სახელი დაიმკვიდრა. მანვე მიიყვანა ქრისტესთან თავის ძმა სიმონი (ხალვაში,2011:10).

ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის მარშრუტთან დაკავშრებით არსებობს სხვა წერილობილი წყაროებიც მაგ: ,,ქართლის ცხოვრების“ ვრცელი ჩანართის მიხედვით, ტრაპიზონიდან ანდრია ,,შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა“. მართლაცდა, ლეონტი მროველის ცნობით, ჯერ კიდევ ფარნავაზმა (ძვ,წ.IIIს.) აჭარა და სამცხე ოძრხის საერისთავოდ ჩამოაყალიბა. ,,ქართლის ცხოვრების’ ვრცელ ჩანართში ყველაზე მეტად კონკრეტული პუნქტებია თავჩენილი. აქ პირველადაა დასახელებული დიდ-აჭარა, რკინის ჯვარი, ოძრხეს ხევი, ზადენ-გორა, აწყვერი, საქრისი და, რაც მთავარია, აწყურის ძველი სახელი--სოსანგეთი. სოფელი დიდაჭარა ჭოროხის მარჯვენა შენაკადის-აჭარისწყლის ზემო წელზე მდებარეობს. ეს მოზრდილი სოფელი ჩანს, ძველთაგანვე მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. მის სახელწოდებაში ასახულია მთელი კუთხის სახელი. საინტერესოა, რომ იქაურები ზოგჯერ ცდილობენ სოფლის სახელწოდება ,,დედ(ა)აჭარად“ გაიაზრონ. ამავე პუნქტთანაა კავშირში ჰიდრონომი აჭარისწყალი.ზემოთთქმულის გათვალისწინებით, გასაგები უნდა იყოს ანდრია მოციქულის არჩევანი-დიდაჭარის დღევანდელი მოსახლეობა გადმოცემით იმეორებს საყურადღებო ფაქტებს: ნაკაფისერზე მიუთითებენ ეკლესიის ნაშთებს (გათლილი ქვები იყოო), რომელსაც მთავარანგელო(ზი) ერქვაო. სოფლის დასავლეთით მყოფ მაღალ ბორცვზე ახლა წმ. ანდრიას ნიშია.; გადმოცემით, ძველადვე იქ ქალები ადიოდნენ, სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ნიშნის მახლობელ ფერდზე, გადმოცემით, ყოფილა წყარო, ახლა დამშრალი. მოსახლეობა სხვაგანაც მიუთითებს წმინდა წყაროზე, რომლის მიკარება არ შეიძლება.სოფელში სხვაგანაც ყოფილა ეკლესია ადგილ ,,ხუნცერში“, გზის პირას ახსოვთ ნაეკლესიარის ქვითკირის ნაშთი. აქვეა ძველი ქრისტიანული საფლავები. მახლობლადვე უპოვიათ ქვა, ჯვრის გამოსახულებით. ნიშანდობლივია მათი ერთად არსებობის ფაქტი ,,ხუცურში“,რაც ნათელია, ხუცესს უკავშირდება. ასახელებენ ,,ეკლიყანასაც“ და თვლიან, რომ ეს იყო ეკლესიის ყანა. სოფლის შემოგარენის ტოპონიმიკაში

საინტერესოა საციხური (ციხის ნაშთიაო) , ქვაბისჯვრის (საციხურის მთაში), ელიაწმინდა, ნამონასტრევი (ნასოფლარი საციხურის თავზე), ჯვართნისა.

სოფლიდან კარგად ჩანს გოდერძის უღელტეხილით სამცხისაკენ მიმავალი გზა. ყოფილა მეორე გზაც, რომელიც რკინისჯვრის მთაზე ადის, იქიდან კი სამცხესა და იმერეთისაკენ დაეშვება, ჩანართის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდ-აჭარიდან წამოსულ ანდრიას უნდა გაევლო ირემაძეები, საციხური, აგარა, ღორჯომი, ცივწყაროს მთა, ქვაბისჯვარი, მამლის მთა. ამ გზაზე ეკლესიათა ნანგრევებია ძველ რუკაზე აღნიშნული. ექსპედისციის წევრებმა დაათვალიერეს უძველესი გონიოს ციხე (აფსაროსი) უძველესი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობებით, სადაც დაკრძალულია წმ. ანდრია პირველწოდებულის თანამგზავრი, მოციქული მატათა.

საქართველოში ქრისტიანობის ახ.წ. I საუკუნეში ქადაგების შესახებ არსებობს როგორც III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოელი ავტორების ცნობები, ისე ,,ქართლის ცხოვრების“ მოგვიანო ჩანართიც, სადაც ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობაა აღწერილი. ამავე დროს, ეს მოვლენები ასახული არ არის V-VIII საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს პირველმოციქულთა ამ ქადაგებას და შესაბამისად, ამ ისტორიულ წყაროებისა და ლიტერატურის სანდოობას. თუმცა, არ უარყოფენ დასავლეთ საქართველოში პირველი საუკუნიდან ქრიტიანობის გავრცელების შესაძლებლობას (ჯავახიშვილი,1987:95). ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით არსებული მოსაზრებები, დღემდე საყურადღებო და რთულად განსახილველი საკითხია, მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევდა და ეს ფაქტიცაა უამრავ წყაროებში, რომ ქრისტიანობა ნამდვილად ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა საქართველოში და ნამდვილად დასავლეთ საქართველოდან მოხდა დანარჩენ საქართველოში გავრცელება, ამას ,როგორც ვიცით ,ხელს უწყობდა იმ დროისათვის არსებული ვითარება, როცა კერპთაყვანისმცემლობა იყო ძალზედ განვითარებული და ქრისტიანებს მალულად უწევდათ სარწმუნოების დაცვა და

მსახურების აღსრულება. ამ აზრს ამყარებს მეცნიერ გოზალიშვილის მოსაზრებაც, რომელიც გვეუბნება, რომ ,,ქრისტიანობის გასავრცელებლად საქართველოში დიდი ხნით ადრე დაიწყო მზადება, მას საფუძველი ქართველთა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სინამდვილეში ჰქონდა გადადგმული და ის, რაც IV საუკუნეში მოხდა-ეს იყო ყველას მიერ აშკარა აღიარება იმ მოვლენისა, რომელიც ქართველთა ცხოვრებას უკვე დიდი ხანია თავისებურად აფერხებდა. ასე რომ, პირველი, განსაკუთრებით კი IV საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრება, ერთი საერთო საზომის ქვეშ ექცევა. ეს არის ქრისტიანობა- მოვლენა, რომელიც შეიცავს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების არსებით მომენტებს. დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება უძველეს ხანას, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს ეკუთვნის. III-IV საუკუნეების უცხოელი ავტორები ცხადყოფენ, რომ იგი მესხეთში მოციქულთა ხანაში გავრცელდა“ (გოზალიშვილი, 1974:35-44). ასევე იერონიმეს თხზულებების დამატებაში, რომელიც მიეწერება IV საუკუნის ავტორს-სოფრონის, ნათქვამია მატათას შესახებ: ,,მატათამ .. იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოხეთში), სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და ჰისი ნავსადგური. იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე“. უფრო გვიანი პერიოდის, VIII საუკუნის დასასრულის, ცნობილი მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, რომელსაც ეკუთვნის შრომები ,,მარიამის ცხოვრება“ და ,,ანდრიას ცხოვრება“, წერს: ,,ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინები დიდს სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი“. თუ ყველა ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, აშკარა ხდება, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ისეთივე მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა, როგორც პალესტინა-იუდეაში, სადაც იშვა ქრისტიანობა.

,,ფლავიუს არიანეს დროინდელი დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში საუკუნე-ნახევარ-ორი საუკუნის შემდეგ, IV საუკუნის დასაწყისისათვის, მნიშვნელოვან

ცვლილებებს ვხედავთ. ამ დროის შესახებ წერილობითი წყაროები, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების მასალები ცხადყოფენ, რომ IV საუკუნის პირველი ნახევრისათვის დასავლეთ საქართველ, ადრინდელი, სამეფოებად დანაწევრებული ქვეყნის ნაცვლად ეკონომიკურად პოლიტიკურად გაძლიერებულ,დამოუკიდებელ ქვეყნის სტატუსამდე მისულ და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოდ ჩანს. ეს ქვეყნისათვის სასიკეთო ცვლილებები თანდათან ხელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობების გონივრული გამოყენებით მზადდებოდა. უკვე II საუკუნიდან, როცა მიმდინარეობდა ე.წ. ,,ხალხთა დიდი გადასახლება", იმპერიის მეზობლად დასახლებულმა, აღმოსავლური და გერმანული მოდგმის ტომებმა შემოუტიეს, იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა 167 წელს ჯარში გლადიატორებიც კი შეიყვანა.

იმპერიის მდგომარეობა არც III საუკუნეში გაუმჯობესებულა. ახლა იგი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა, რომლის მართვა რომს უკვე აღარ შეეძლო. ამავე საუკუნის 30-იანი წლებიდან მას ახალი მეტოქე-სასანიდური ირანი გამოუჩნდა. ამავე საუკუნის შუახანებში დაკარგა სომხეთიც. ამავე პერიოდში ასევე გაძლიერდა ბარბაროსი ტომების შემოსევა ჯერ დუნაისპირეთიდან, შემდეგ კი რეინისპირეთიდან. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეძლო იმპერატორმა დიოკლიტიანემ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დასავლეთ საქართველოს მიაქცია. III-IV საუკუნეების დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან მათთან ურთიერთობაში მოიაზრება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების ახსნა-ანალიზი, რომელიც აქ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან არის დაკავშირებული. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო, მის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულები რომის იმპერიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მნიშვნელოვან ცენტრებში (გონიო-აფსაროსი, ფაზისი, სებასტოპოლისი) რომაელი ჯარისკაცები იყვნენ ჩაყენებული. აქ არსებულ პოლიტიკურ ერთეულთაგან ლაზეთის (ეგრისის) სამეფო მდებარეობდა

თანამედროვე აჭარასა და მდინარე ხობს შორის. აღმოსავლეთით იბერიასთან საზღვარი სკანდა-შორაპნის ხაზზე გადიოდა, რადგანაც სოფელი ბორი, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ქართლის ერთ-ერთი საერისთავოს (არგვეთის) სარეზიდენციო ცენტრად ჩანს. უფრო გაძლიერებული ჩანს ლაზეთი III საუკუნეში.არიანეს დროს ძლიერ ციხე-ქალაქად ჩანს გონიო-აფსაროსიც. ციხესიმაგრე გეგმით სწორკუთხედია. მისი სიგრძე 222 მეტრია, ხოლო სიგანე -195 მეტრი. ამჟამად ციხე მოითვლის 18 კოშკს, ხოლო თავიდან 22 კოშკი ყოფილა. გათხრებით დასტურდება, რომ ეგრისში II -III საუკუნეებში განვითარებულია საქალაქო ცხოვრება, საშინაო და საგარეო ვაჭრობა. მომდევნო საუკუნეში მას ურთიერთობა აქვს ქართლთან და სომხეთთან. ლაზებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზღვას, რითაც სარგებელს ნახულობდა. აქ გამავალი ორი საერთაშორისო მნიშვნელობის გზაა დასახელებული. ლაზთა სამეფოს გაძლიერებასა და მის ტერიტორიულ ზრდას ხელი დიდად შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებამ. ეგრისში ქრისტიანობის ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში გავრცელება და შემდეგ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება , უპირველესად, განპირობებული იყო იმ სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, რომელიც იმდროს ლაზიკაში (ეგრისში) იყო შექმნილი.ქრისტიანობამ დიდი სამსახური გაუწია ფეოდალურ წყობილებას, რომლის შემდგომი წინსვლის საჭიროებამ განსაზღვრა მისი ოფიციალურ კულტად მიღების მიზანშეწონილობა (დიასამიძე, 2001:47-54).

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად IV საუკუნეა მიჩნეული, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ თარიღს VI საუკუნის 20-იანი წლებიდან ითვლიდნენ, რასაც, თითქოს, ხელს უწყობდა VIII-IX საუკუნის ბიზანტიელი მწერლის თეოფანე ჟამთა აღმწერლის ცნობა ლაზთა მეფის, წათეს გაქრისტიანების შესახებ. ამას ეთანხმებოდნენ აკად. ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია, თუმცა აღიარებდნენ მის დიდი ხნით ადრე გავრცელებას.

ნიკეის საეკლესიო კრებაზე 325 წელს ბიჭვინთის ეპისკოპოს სტრატოფილეს იქ მონაწილეობა ასკვნის, რომ ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში

ქრისტიანული ორგანიზაცია მტკიცე ყოფილა. ტრაპეზუნტისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები მხოლოდ ბერძნულ მოსახლეობას კი არა, არამედ ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებსაც წარმოადგენდნენ. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ V საუკუნის შუა წლებში ლაზეთი უკვე ქრისტიანული ქვეყანა იყო. ამასვე ადასტურებენ აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი, პროფესორი ნ. ლომოური, ვ.. გოილაძე. ,,ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართულ წერილობით წყაროებში მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ ცნობები მხოლოდ X საუკუნიდან ჩნდება. ესაა ჩანართი ,,ქართლის ცხოვრებაში", რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიამ შეიტანა, თუმცა იგი თარიღდება X საუკუნით.

,,ქრონოლოგიურადაც ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისი აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში, როგორც ეტყობა, ერთსა და იმავე ხანას უნდა ვიგულისხმოთ.,,V ს. მესამე მეოთხედში ლაზიკა, ანუ დასავლეთი საქართველო უკვე დიდი ხნის გაქრისტიანებული უნდა ყოფილიყო და ქრისტიანობის დასაწყისი იქ მაშინ IV საუკუნის დროინდელად ყოფილა მიჩნეული".,,ამგვარად ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების თარიღად მეხუთე სუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს IV საუკუნე მიაჩნდა, ხოლო თუ ამასთანავე გავისხსენებთ, რომ ტრაპიზონის ეპისკოპოსი დამნუსი და თვით ბიჭვინტის (ბერძენთა პიტიუს-ის) ეპისკოპოზი სტრატოფილოსი ნიკეაში მსოფლიო საეკლესიო კრებაში უკვე მონაწილეობას იღებდნენ, მაშინ ცხადი გახდება, რომ მათ შუა მდებარე ისეთ მნიშვნელოვან ნავსადგურსა და ქალაქში,-როგორც ფაზისი, ანუ ფოთი იყო, შეუძლებელია ქრისტიანობა გავრცელებული არ ყოფილიყო."(ჯავახიშვილი,1979:170-171). ,,ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ გელასი კვიზიკელის დანართი ცნობა, რომ იბერებმა და ლაზებმა ერთსა და იმავე დროს მიიღეს ქრისტიანობა, არსებითად სწორი გამოდის იმ მხრივ, რომ დასავლეთ საქართველოშიაც IV ს. დამდეგიდან ქრისტიანობას გზა გაკვლეული უნდა ჰქონოდა".

ამასვე ამტკიცებს პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე თავის წიგნში ,,ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში I-X საუკუნეებში“, სადაც ვკითხულობთ: ,,V I საუკუნის შუა ხანებისათვის პროკოპის, აგათიას და სხვა ისტორიკოსთა ჩვენებით, ლაზიკაში ქრისტიანობა დიდი ხნის წინათ განმტკიცებული ჩანს. პროკოპი წერს: ,,აფსილები ლაზების ქვეშერდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ, როგორც სხვა დანარჩენი ტომებიც, რომლებიც მე ამ წიგნში მოვიხსენე“.

ახლა ხომ საყოველთაოდ ცნობილია, თუ უფრო ძველი არა, IV-V საუკუნების ეკლესიათა ნაშთები ჯიხე-გოჯში (ნოქალაქევი), ფაზისში, ბიჭვინთაში, ციხისძირში და სხვაგან. ლაზებს VI საუკუნეში საკუთარი ეკლესიის განახლება უცდიათ იერუსალიმში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იგი V საუკუნეში მაინც უნდა იყოს აგებული (დიასამიძე,2001:59).

V-VIII საუკუნეებსა და IX საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა დააჩქარა ამ თემის ე. წ. გახსენება. შესუსტდა არაბთა შემოსევები, ფეოდალიზმი კიდევ უფრო განვითარდა, შესაბამისად, ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებს გაუჩნდათ განცალკევების სურვილი. ჩნდება ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრები, საფუძველი ეყრება ახალ სამეფო-სამთავროებს. მართალია უერთმანეთოდ ქვეყანა სუსტებოდა, მაგრამ საფუძველი ეყრებოდა თითოეული მათგანის განვითარება-წინსვლას. განსაკუთრებით დაწინაურდა აფხაზეთი ხაზართა დახმარების იმედით. აფხაზეთის ერისთავი ლეონი განდგა ბერძნებისაგან. მაგრამ არც ბერძნები დარჩნენ გულხელდაკრეფილნი- მათ დაიწყეს იმის შეხსენება, რომ ქართველები პირველმოციქულთა მიერ იყვნენ მოქცეულნი, მითუმეტეს, რომ VIII საუკუნიდან ეგრის-აფხაზეთმა ეკლესიური დამოუკიდებლობისათვისაც დაიწყო ბრძოლა.თუმცა ქართველთათვისაც საჭირო იყო ბერძენი ეპიფანე კონსტანტინოპოლელის დაწერილი ,,მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა მოციქულთა ანდრეასი“., რადგან ქვეყნის ძლიერებას, კულტურულ დაწინაურებას, მისი გატოლება ბერძნულთან, დიდებული საგალობლის ,,ქება .Ѯ და დიდება.Ѯ ქართულისა ენისა.Ѯ“ შექმნა, ქართული და

სომხური ეკლესიების განცალკევება (მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა) და იმის მტკიცება, რომ ჩვენ სხვადასხვა განმანათლებლები გვყავდა და ქართლის მოქცევა უფრო ადრე დაიწყო, საჭირო გახდა ქართულ ისტორიოგრაფიასაც თავისი სიტყვა ეთქვა და შესულიყო ,,ქართლის ცხოვრებაში“. დაიწყო ბრძოლა ეკლესიის ავტოკეფალიისათვისაც. ამას კი ვერ გააკეთებდნენ, თუ მოციქულთა მოსვლას არ აღიარებდნენ. დავიმოწმებ ბიჭიკო დიასამიძის მოსაზრებას: ,,ასე რომ X საუკუნეში საქართველოს ინტერესებისათვის ყოველმხრივ მისაღები ჩანს ქრისტეს პირველმოციქულთა მიერ I საუკუნეში ქართველთა მოქცევის დასაბუთება, რაშიც თავისი ასახვა ჰპოვა მხატვრულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში“ (დიასამიძე,2001:32-48).

,, სხვა ცნობების მიხედვით, წმინდა მათე კოლხიდაში , კერძოდ, აჭარაში, ქადაგებდა ქრისტიანობას, მათე შეუერთდა მოციქულთა გუნდს და იუდას ნაცვლად იქადაგა სარწმუნოება, სადაც გარდაიცვალა და დაიმარხა კიდეც ეთიოპიაში. ამ მოსაზრების თანახმად ეთიოპიას კოლხიდასაც უწოდებდნენ,რომელიც ნათლად არის გადმოცემული სოფრონისა და იღუმენის სიტყვებიდან,ეს იყო ტერიტორია სადაც არის გონიო და აფსარი.წერს ალექსანდრე ჭყონია. იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით რომ ანდრია ქადაგებდა იქ სადაც არის აფსარის ციხე, უამრაც ცნობას გვაწვდის ბიზანტიური ნაწარმოების,, პაქსალური ქრონიკის“ ავტორიც, რომელიც გვეუბენა რომ ანდრიამ იქადაგა იქედან, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოსის ნავსადგური და მდინარე ფაზისი, რომელიც მაშინდელი გადმოცემით არის დღევანდელი ხელვაჩაურის ტერიტორია. ამ მოსაზრებას ამ მეცნიერის გარდა უამრავი სხვა მეცნიერიც იზიარებს, მაგალითად, ს.ყაუხჩიშვილი, გ.მელიქიშვილი და სხვები (ჭყონია:1990:257).

,,ტაო-კლარჯეთში, და საერთოდ მთლიან საქართველოში,VIII-IX საუკუნეებში ფართოდ გაშლილი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის შედეგად არაერთი დიდმნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და საეკლესიო ცენტრი წარმოიშვა, სადაც აქტიურად მიმდინარეობდა თეოლოგიური და სამეცნიერო-

ფილოსოფიური საქმიანობა. ამოტ კურაპალატმა 914 წელს დაარსა ტბეთის საეპისკოპოსო. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს ,,იჯდა აქ ეპისკოპოსი,მწყემსნი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა“. ვარაუდობენ, ტბეთის საეპისკოპოსოს სამწყსოში მისი წამოქმნიდან XIII საუკუნემდე შედიოდა მთელი შავშეთი, მიჭიხიანი და აჭარაც“.,,ამ პროცესებს დაემთხვა გაძლიერებული ეგრის-აფხაზეთის მეფეების ირგვლივ საქართველოს გაერთიანებისათვის, რაშიც დიდი როლის თამაში შეეძლო ეკლესიის მხარდაჭერას. ამიტომ მთელი X ს-ის მანძილზე სერიოზული რეფორმები გატარდა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში. იშლებოდა და იქმნებოდა ახალი საეპისკოპოსოები. ნ. ბერძენიშვილის აზრით, პეტრა ხინოს საეპისკოპოსოთი ჩანაცვლდა და როგორც ჩანს, თანამედროვე აჭარა ორი საეპისკოპოსოს სამწყოსოს შეადგენდა. XVI საუკუნეში შედგენილი სამცხე-საათაბაგოს ეპარქიების სიის მიხედვით, ,,დანდალოს ზეითი“- აჭარა შედიოდა ტბეთის ეპისკოპოსის სამწყსოში, ხოლო ,,დანდალოს ქვემოთი“ - ქუთათელის სამწყსო ყოფილა (დიასამიძე,2001:179).

XI საუკუნეში ბიზანტიასა და საქართველოში შექმნილი პირობებისა და ბიზანტია-საქართველოს ეკლესიათა შორის ურთიერთობათა გამწვავების გამო, ბიზანტიაში მოღვაწე ქართველები- გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე და სხვები სისტემატიურად იშველიებენ ცნობებს ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ საქართველოში.

ნიშანდობლივია, რომ XV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ლაონიკე ხარკოკონდილე, მანუელ რიტორის მსგავსად, ბათუმს ბათუდ-დ იხსენიებს. ამრიგად, მანუელის ,,თხრობის“ მიხედვით წმ. ანდრია აწყურიდან ბათუმში ჩავიდა: ,,მიიწია ადგილად, რომელსაც ბათუმი ეწოდებამ სადაც არის ნავსადგური და იქიდან სებასტოპოლისში, ანუ ცხუმში გაემგზავრა. წმ. ანდრიას ქადაგების მარშრუტში ბათუმი მანუელ რიტორმა ჩართო. ეს ნიშანდობლივიცაა, რადგან ბათუმის ნავსადგური (,,ჰავანმა“) სერთაშორისო ფუნქცია მანამდე რამდენიმე საუკუნით ადრე

(XII ს.) შეიძინა, როცა აზიის სახმელეთო გზებზე თურ-სელჩუკები გაბატონდნენ და მსოფლიო სატრანზიტო გზებმა საქართველოში გადმოინაცვლეს. ,,აბრეშუმის გზის“ ერთი შტო ამ დროის ბათუმზე, აჭარასა და სამცხეზე გადიოდა. (ხალვაში,2011:94-96). ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ეგრისის სახელმწიფომ საბოლოოდ გააკეთა არჩევანი დასავლური, ევროპული ცივილიზაციისაკენ. ორიენტაცია რომაულ-ბიზანტიური სამყაროსაკენ, მსოფლმხედველობრივ-რელიგიურად მასთან დაკავშირება ნიშნავდა ქვეყნის მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებასაც, რომ ამიერიდან მას ფეხი უნდა აეწყო ამ დიდი და გლობალური ცივილიზაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას საქართველოში უამრავი წინააღმდეგობა შეხვდა მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხის მოგვარება, რადგან პირველ რიგში ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას, ფეოდალური კლასის გაძლიერებას და მასთანავე ქვეყნის კონსოლიდაციასა და ცენტრალიზაციას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართველი ერის არსებობისათვის.

თავიIII. აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში

,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას წინ უსწრებდა და მყარ საფუძველს უქმნიდა VIII-X საუკუნეების საქართველოში ფართოდ გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობის ზრდა-განვითარება X საუკუნეში, რომლის გვირგვინს წარმოადგენს იოანე ზოსიმეს ,,ქება ✪ და დიდება✪ ქართულისა ენისა✪ „. მასში მწერალმა წარმოაჩინა ქართული ენის განსაკუთრებულობა და გამორჩეული ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ამ საუკუნეებში შეიქმნა მაღალი დონის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, როგორიცაა ბასილ ზარზმელის ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. განსაკუთრებულია სასულიერო პოეზია,ჰიმნოგრაფია მიქაელ მოდრეკილის ლექსების სახით. განვითარდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რასაც ხელს უწყობდა როგორც საზღვარგარეთ ქართველთა მიერ დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები(პალესტინასი-საბაწმინდის ლავრა), (VI ს.), ათონის ივერთა მონასტერი (X ს.). ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ტაო-კლარჯეთში შექმნილი ეკლესია-მონასტრები: ხანძთა, შატბერდი, იშხანი, ოპიზა, ოშკი, წყაროსთავი და ბანა და სხვები. ყველაფერმა ამან შეამზადა საფუძველი ისეთი დიდი ქართველი მოღვაწის წარმოსაჩენად, როგორებიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები (ათონი) და ეფრემ მცირე (სირიაში-შავ მთაზე), რომელმაც ქართულად თარგმნა 70-მდე წიგნი. ახალ სიმაღლეზე ავიდა საისტორიო მწერლობა, ფილოსოფია. სამართლის თეორია, განსაკუთრებულად დაწინაურდა ხუროთმოძღვრება. დღესაც აღტაცებას იწვევს ბაგრატ III დროს აგებული ქუთაისისა და ბედიის დიდებული ტაძრები, მცხეთის სვეტიცხოველი, ნიკორწმინდისა და სამთავისის ქმნილებანი და სხვა.

ასე, რომ X-XI საუკუნეები საქართველოსათვის კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის წლებია. სწორედ ამ პერიოდში გადაინაცვლა შიდამთიანი აჭარის ადმინისტრაციულ-კულტურულმა ცენტრმა დიდაჭარიდან ხიხანში, რასაც, როგორც ჩანს, მოჰყვა ამ ხეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი საქმიანობის გააქტიურება. X-XI საუკუნეებით თარიღდება თიკანაურის, სხალთის მცირე და თხილვანის აბუსერისძთა საგვარეულო ეკლესიები.,,საინტერესოა თხილვანის, კალოთის, აგარის ეკლესიები, რომლებსაც XI- XII-XIII საუკუნეებს აკუთვნებენ.

,,ქართველი ხალხის მეგობარმა, ისტორიკოსმა ვ. მარკოვმა გასული საუკუნის მიწურულს თქვა: ,,მართმადიდებელთა ჯვარი უნებლიეთ იქცა ქართველების ეროვნულ სიმბოლოდ, როგორც ჯვაროსანი რაინდი, ეგ, ერთ-ერთი მხრით, მთელ თავის სიცოცხლეს ატარებდა ისლამთან სასტიკ ბრძოლაში, ხოლო მეორეს მხრივ, ხელში ეჭირა ხმალი ქრისტიანობის დასაცავად, თუმცა ქრისტიანული ჯვარი მანტოს სახელოზე ამოკერებული არასოდეს ჰქონია, მხოლოდ გულში ჩაინერგა ისე, რომ იქედან მისი აღმოფხვრა შეუძლებელია“. ,,ასევე ფრანგი ჟ. შარდენი 1672 წლის დამლევს ეწვია აჭარას და კიდითკიდემდე მოიარა იგი. გონიოში თურქების მიერ ნაწვალები მოგზაური ჭოროხ-აჭარისწყლის ხეობით თბილისისაკენ გაუდგა გზას. იგი წერდა: ,,აჭარაში ეკლესიები და ციხეები ბევრი იყო, მაგრამ ოსმალებმა დაანგრიეს. მთების მცხოვრებლები უმეტესად მართმადიდებელი ქრისტიანები არიან. მშვენიერი ელფერი აქვს ხალხს. ძალიან მშვენიერი სახის დედაკაცები ვნახე მათში ე. ი. აჭარლები მაშინ ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ, თუმცა მისივე ცნობით, უკვე გაჩენილიყვნენ მუსლიმანები, ხოლო მამასახლისის გვერდით თურქი მოხელე ქეთხუდაც მოქმედებდა.

ამასთან დაკავშირებით გ. ქიქოძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აჭარის მოსახლეობა, შარდენის მონათხრობით, XVII საუკუნის 70-იან წლებში ჯერ კიდევ ქრისტიანული იყო. ისტორიული ხასიათის ნარკვევში ,,ბათუმიდან ტაშისკარამდე“ კი უწერია, რომ აჭარლები ქართული ტომის საუკეთესო წარმომადგენლები არიან.

ეს ადვილი გასაგებიცაა: მთებში უკეთ ინახება რასის სიწმინდე. ეკლესიებითა და ტაძრებით დაფარული იყო მაჭახლის ხეობის სოფლებიც. ტბეთის, ანუ მაჭახლის სულთა მატიანე, რომელიც შედგენილია XII საუკუნიდან მოყოლებული, იუწყება : შემომწირველებს გაუღიათ არა მარტო ამ ხეობის კირნათის, ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის, ოღლაურის, არამედ ერგეს, ჯოჭოს, კიბეს (ხელვაჩაურის რაიონი), ახლანდელი ქედის რაიონის სოფელ ზენდიდის ქრისტიან მცხოვრებლებსაც (ბექირიშვილი,1990:48-49).

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში მონღოლ-თათართა გაბატონებამ, მძიმე გადასახადებმა, ქვეყნის დაყოფამ, მონღოლთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა იძულებითი მონაწილეობით გამოწვეულმა დიდმა მსხვერპლმა და მატერიალურმა ზარალმა ქვეყანა დააუძლურა და დაასუსტა. დაინგრა და გაპარტახდა სოფლები და ქალაქები, დაინგრა ეკლესია-მონასტრები. მართალია, XIV საუკუნის დასაწყისში, გიორგი V მმართველობის პერიოდში (1314-1346წწ.) ქვეყანამ გადაიგდო მონღოლთა ბატონობის უღელი, შედარებით წესრიგი დამყარდა ქვეყანაში და დაიწყო აღმშენებლობითი საქმიანობა, მაგრამ თემურ-ლენგის რვაგზის ლაშქრობამ (1386-1403წწ.) საბოლოოდ წელში გატეხა ქვეყანა და მოამზადა ნიადაგი მისი სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცებისათვის.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ფორმალურად ჯერ კიდევ ერთიან საქართველოს თურქმანებმა და ოსმალებმა შემოუტიეს. ქართველთა თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად,XVI საუკუნის შუახანებიდან ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოიკიდეს ფეხი. XVI საუკუნის ბოლო მესამედიდან, ოსმალთა მფლობელობაში აღმოჩნდა აჭარა. ეს მოხდა სულთან სელიმ II მმართევლობის ხანაში (1566-1574 წწ.). ამაზე მიუთითებს ამ პერიოდში შედგენილი ,,ზემო აჭარის ვრცელი დავთარი,, ასე იყო მთელს აჭარაში. ამასთან, გააჩანაგეს განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა, ჩაკლეს ხელოსნობა, მშენებლობა, განათლება, კულტურა. ყველგან უბედურებამ, სიღატაკემ, უიმედობამ და შიშმა

დაისადგურა. ნ. ნიკოლაძისა არ იყოს, მომხვდურები შუღლს თესავდნენ, აჩხუბებდნენ და ურევდნენ ერთმანეთს. ,,გადგომაც იცის ბეგმა, მარა თათარი (ოსმალო) ჩხუბს უქს, ჯარს შეუსევს, მის თავს ფასად გასცემს და ფასი თუ კაი იქნა, ჩამოიტანს აბდალი ვინმე მის თავს ფაშასთან“. სწორედ მოღალატემ დაღუპა სამხრეთ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მამაცი ხელმძღვანელი ერის სახელოვანი შვილი სელიმ ხიმშიაშვილი.

,,ასე ჭირდათ აჭარლებსაც, რომლებიც 1472-1474 წლებში უკვე ხარკს უხდიდნენ დამპყრობლებს. ამას წერენ აჭარაში ნამყოფი იტალიელი დიპლომატები იოსაფა ბარბარი და ამბროზიო კონტარინო. მაშინ მომხვდურებს არ ეცალათ კავკასიის სხვა მიწების, აგრეთვე ყირიმის დაპყრობისათვის იბრძოდნენ, ამიტომაც თავისი რჯულის- ისლამისა და ადმინისტრაციის დამკვიდრება მოგვიანებით იწყება.

დავთრის მიხედვით, XVI საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს აჭარისწყლის ხეობაში 94 სოფელი ითვლებოდა 540 კომლით. ამათგან, 35-მდე სოფელი დაცლილი ყოფილა მოსახლეობისაგან. დანარჩენში 2-5 კომლი იყო. ისმება კითხვა, რამ გამოიწვია 94 სოფლის მესამედზე მეტის დაცარიელება, მათი ნასოფლარებად ქცევა? მიზეზი შეიძლება ყოფილიყო შავი ჭირი, მსხვერპლი დიდი ომიანობისას და მოსალოდნელი საფრთხის გამო მოსახლეობის აყრა (ბექირიშვილი,1990:50-51).

მასობრივი ავადმყოფობა, შავი ჭირი, რომელსაც შეეძლო მხარისათვის ასეთი ზიანის მიყენება, XIV საუკუნის შუა ხანებში ევროპაში ცნობილია ,,შავი სიკვდილის“ სახელით, რომელმაც ამ კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა გაანახევრა, საქართველოშიც მძვინვარებდა და მას 1366 წელს მეფე ბაგრატ V მეუღლე, დედოფალი ელენე ემსხვერპლა, მაგრამ მაშინ დაცარიელებულ-დაცლილი სოფლები XVI საუკუნის 60-იანი წლების ოსმალურ დავთარში ვერ აისახებოდა. ასეთი რამ ოსმალებს არც დაინტერესებდათ. სავარაუდოა, რომ ამ სოფლების დაცარიელება, მოსახლეობის შემცირება აქ ოსმალთა გამოჩენის წინა ხანებში მოხდა, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ნასოფლარები და ხსოვნა მათ შესახებ, ამ აზრს

სარწმუნოს ხდის 1573 წლის ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია , რომ ,,აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლები დაცლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული“. სულთანი ავალებს ლივანის, მაჭახლის და ფეთეკრეკის სანჯაყ-ბეგებს ყველაფერი იღონონ გაქცეული მოსახლეობის დასაბრუნებლად. ამიტომ სოფლების დაცარიელების ორი მიზეზი რჩება-ხშირი ომიანობა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან მუსრს ავლებდა მოსახლეობას და ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შედარებით უსაფრთხო ადგილებში.

XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან ირან-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ საქართველოსათვის ხშირად აქცევდა ბრძოლის ასპარეზად აჭარისწყლის ხეობას. აქ გადიოდა სატრანზიტო გზები სამხრეთ საქართველოს პრივინციებისაკენ. აჭარისწყლის ხეობაში ამჟამად არსებული ათობით სოფლის მკვიდრმა იცის მათი სოფლის წარსული, წინაპართა საფლავები. ხშირ შემთხვევაში ამ სოფლების ასაკი 300 წელს არ აღემატება. ამავე სოფლებში არის ძველი სამაროვნები, რომელთა ფართობი თანამედროვე 300-წლიანი სოფლის სამაროვნების ფართობს უტოლდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი XVII და უფრო ადრინდელი საუკუნეების მცხოვრებთ უნდა ეკუთვნოდეს. დავთრის მიხედვით, დაცლილია კავიანისა და ოთოლთას ციხის რაბათები, მაშინ, როცა მიმდებარე სოფლებში აღრიცხულია: ჭვანაში 20, ბარათაულში 5 კომლი. დაცლილი ყოფილა ხიხაძირის ციხის რაბათი და მისი მიმდებარე სოფლებიც (კალოთა, ქოჩაკი, რაქვთა) ორი კომლი დარჩენილა თხილვანაში. მოსახლეობისაგან მიტოვებული ჩანს სხვა სოფლებიც. ზემო აჭარის ნაჰიეში ყველაზე დიდ სოფლებად ითვლებოდა ხულა (37 კომლი), ღორჯომი (32 კომლი), ჭვანა (20 კომლი), ქვემო აჭარის ნაჰიეში დასახელებულია მერისი (26 კომლი), ორცვა(26 კომლი), საღორეთის რაბათი (24 კომლი).

აღნიშნული პერიოდის ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის შესახებ შეიძლება მიახლოებითი სურათი მოგვცეს სამაროვნების არქეოლოგიურმა შესწავლამ. ასევე

საინტერესო მეცნიერულ ინფორმაციას მივიღებთ საქართველოს სხვა მხარეებში ადრე გაჩენილი ე.წ. ,,აჭარული სოფლების“ (ზესტაფონის რაიონის სოფელი ,,აჭარა“, ლეჩხუმის ,,აჭარა“) მიხედვით.

დავთრების მიხედვით, ისიც ირკვევა, რომ ოსმალები დაპყრობილ ადგილებში შესვლისთანავე ცდილობდნენ მათი მმართველობისა და ცხოვრების წესის დანერგვას, მუსლიმანური რელიგიის გავრცელებას და სალოცავების მშენებლობას. ამან გარკვეული გავლენა იქონია კუთხის სოცილაურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განვითარებაზე.

არზრუმის მეჩეთის მიწების შესწავლისას ირკვევა, რომ მეჩეთს აუცილებლად სჭირდებოდა ვაყუფები. არზრუმის ახლად აშენებული მეჩეთისათვის ფაშის მიერ (XVI საუკუნის 60-70-იანი წლები) მიწების შესყიდვის თაობაზე ნათქვამია, რომ მიწები თითქმის შეძენილა ქართველი მფლობელებისაგან. როგორც ჩანს, ოსმალთა ბატონობას მოჰყვა მეჩეთების მშენებლობა და მათთვის მიწების (ვაყუფების) შეძენა ძირითადად ქართველებისაგან. საფიქრებელია, რომ მსგავს პროცესს ადგილი ექნებოდა აჭარაშიც. XIX საუკუნის 70-90-იან წლებში აჭარაში მოგზაურობისას ცნობილ მკვლევრებს (გ. ყაზბეგი, დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია) აღრიცხული აქვთ 100-ზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიის ნანგრევია დაფიქსირებული (ორთახოხნა,საღორეთი,დარჩიძეები).მარტო დღევანდელ ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-მდე, ხოლო შუახევის რაიონის ერთ, მარეთის, ხეობაში 20-დე ეკლესია-მონასტრის ნანგრევია აღრიცხული. სავარაუდოა, რომ ოსმალთა გაბატონებისა და მეჩეთების მშენებლობის პარალელურად, ინგრეოდა ქრისტიანული სალოცავები, სხვანაირად ვერ აიხსენება ის, რომ ათობით ეკლესია - მონასტრიდან ჩვენს დრომდე მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია მეტ-ნაკლებად სრული სახით. ნიშანდობლივია, რომ დღესაც შემორჩენილია ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ბზის კორომები და შესაბამისი ტოპონიმები.

ამის შესახებ აქვს ყურადღება გამახვილებული იოსებ ბექირიშვილსაც, რომელიც თავის წიგნში წერს:

,, ამ სოფლების მეზობლად დღესაც დგას სხალთის ტაძარი. იგი ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა და დიდი საკულტო ცენტრის გარდა, გამაგრებული სამხედრო ობიექტიც იყო, რომელიც სამხრეთიდან ხიხაძირ-სხალთის მეოხებით მომავალ მტერს აჭარაში შემოჭრის საშუალებას არ აძლევდა. შემორჩენილ ტაძარს, რომელიც წაგრძელებული, სწორკუთხა, სამნაწილიანი ნაგებობაა, არასრულ ბაზილიკას აკუთვნებენ. ტაძარი XII საუკუნემდე უნდა იყოს აგებული. მის შენახვასა და მოვლა-პატრონობაში ტოლს არ უდებდნენ აბუსრისძეები და შემდგომ ხიმშიაშვილები (ბექირიშვილი,1990:43).

1614 წელს გონიოში იმყოფებოდა ფრანგი მისიონერი ლ. გრანჟე. მოსახლეობა იძულებულია მუსლიმანობა მიიღოს, რათა ცოტათი მაინც სული მოითქვას, წერდა იგი. სოფელ ბაილეთში, გურიელების სასახლეში გრანჟე შეხვდა ლაზეთის არქიეპისკოპოსს, რითაც მტკიცდება, რომ მაშინ აჭარაც უკვე მიტაცებული იყო მუსლიმანების მიერ. ისინი ისე დათარეშობდნენ და ამუსლიმანებდნენ აჭარლებს, როგორც ლაზებს ლაზეთში, ამიტომაც ადგილსამყოფლად დაუპყრობელი გურია ირჩია. აქ ხომ მისი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო (ბექირიშვილი,1990:51).

მტერმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქართველთა გონებიდან ყველა ქრისტიანული წეს-ტრადიცია ამოეკვეთა, მაგრამ რაც უფრო ბობოქრობდა და მრისხანებდა იგი, მით უფრო ჯიქურ ებრძოდა დავიწყებას ქართველი კაცის გონება. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ ბექირიშვილი, ემენ დავითაძე და სხვები. ,,ქრისტიანობის დაცვა-შენარჩუნებას განსაკუთრებით შეუწო ხელი ქრისტიანული ცხოვრების წესის, ქრისტიანული ტრადიციების ფარულად შესრულებამ. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტია დაფიქსირებული XIX საუკუნის ბოლოს აჭარაში მოგზაურთა მიერ. ზაქარია ჭიჭინაძეს სოფელ დერეხოხნაში (ქედის რაიონი) მოხუცისაგან ჩაუწერია, რომ მის ბავშვობაში სოფლის

მოსახლეობის ნახევარი ქრისტიანობდა. ღამით ერთად იკრიბებოდნენ სახლში და ჭრაქის სინათლეზე ლოცულობდნენ, სალოცავად ეკლესიათა ნანგრევებთან იკრიბებოდნენ და სხვა.

დ. ბაქრაძის, ზ. ჭიჭინაძის, აპ. წულუკიძის, ი. მეგრელიძისა და სხვათა ცნობით, აჭარის ნებისმიერ რეგიონში იყვნენ ე.წ. ,,მალული ქრისტიანები", რომლებიც ლოცვა-კურთხევის გარდა, ღვინის დალევისა და ღორის ხორცის ჭამაზეც არ ამბობდნენ უარს. 1847 წელს კონდიდელი ქალი სანიე მოწყობილი ქრისტიანობას დაუბრუნდა და ბაქრაძის ნარკვევი ,,კინტრიშის უბანი,, რომელიც დაწერილია 1878 წელს, შეიცავს ასეთ ცნობებს: იქაურები იცავენ ძველ ქართულ წესებს, პატივითა და შიშით ეპყრობიან ტაძრების ნანგრევებს, დადიან თაყვანისსაცემად იმ ხატებთან რომლებიც ხუცუბნის თეთროსნის მაცხოვრის ეკლესიიდან თავდგირიძეებმა აქეთს წაიღეს. ერთი ძველი აქტის მიხედვით, ამბობდა მკვლევარი, ხინოელებს ისლამი მიაღებინეს 1780 წელს. გვარაში უკანასკნელმა მღვდელმა ქრისტიანული საქმიანობა 80 წლის წინათ, ე. ი XIX საუკუნის დასაწყისის ათიან წლებში შეწყვიტა.

როგორც ცნობილია, რომის პაპების მფარველობისა და სხვა მოსაზრების გამო, ოსმალები არ სდევნიდნენ კათოლიკებს, არ აიძულებდნენ მათ მიეღოთ მუსლიმანობა. ამიტომაც ბევრი იმერხეველი, აჭარელი თუ ჭან-ლაზი გაკათოლიკდა. ამდენად, ზოგიერთები, დროთა განმავლობაში, კიდეც სომხებად იქცნენ.

ზ. ჭიჭინაძე ეხებოდა რა ქედასა და მაჭახელში მცხოვრებ ზაქარიაძეებს, ამბობდა: ზოგიერთი მათგანი გაკათოლიკდა. ალბათ, ეყრდნობოდა გაზეთ ,,დროებაში" გამოქვეყნებულ კათოლიკი სომხების ეპისკოპოსის ზაქარიანის წერილს, რომელშიც აღიარებდა: მართალია, ართვინელი და მესხი ვარ, მაგრამ ადრე მაჭახლელი ზაქარიაძე ვიყავიო, იქ გავკათოლიკდიო (ბექირიშვილი,1990:60).

აჭარაში ოსმალთა გაბატონებისა და ისლამის გავრცელების შემდეგაც დიდხანს ქრისტიანობდა ხინოს მოსახლეობა. დ. ბაქრაძის თქმით, იქაური მოხუცები, თურმე,

ხატებზე ლოცულობდნენ, მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს და ფრინველებს, ეკლესიის ნანგრევებთან ანთებდნენ სანთლებს და სხვა.

,,აღსანიშნავია, რომ თვით ბათუმში, რომელიც XVIII საუკუნემდე ახლანდელ მენავთობეთა დაბასა და შემოგარენს მოიცავდა, შვიდი ეკლესია იყო. ზოგიერთი მათგანი რუს ისტორიკოს ი. პროსკურიაკოვს 1842 წელს ჯერ კიდევ დაუნგრეველი დახვედრია. ერთ მათგანს ძველი მოხატულობა ამშვენებდა.

ზღვისპირა აჭარის, კერძოდ, ქობულეთისა და ჩაქვის საკულტო ობიექტების შესახებ ძვირფასი ცნობებია დაცული ერთ დოკუმენტში, რომელსაც ,,ლოცვაი ყოვლისა მკურნალი“ ჰქვია და ე.წ. თადგირიძის (თავდგირიძის) ქორონიკონს ერთვის, მის შედგენას 1744 წელს შედგომიან და 1844 წელს დაუმთავრებიათ. აქ ვკითხულობთ: წმინდაო გიორგი ჩხარისაო, ხინოსაო, ილორისაო, გორისაო, კახურისაო, ჭვანისაო, ვაკიჯვარისაო, კონკათისაო, ჯიხანჯურისაო, შუშანეთისაო, გვარამეთისაო, ხუცუბნისაო, დაგვისაო, ჩაქვისაო, ...საკურთხევლისაო, ტყვეთა მხსნელისაო, მთავარანგელოზო...ბაილეთისაო, აჭის თიბისაო, აჭყვითავისაო, ჩაქვისაო“.

რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით, დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს იმოგზაურა ,,ოსმალოს საქართველოში“. აღნიშნული მოგზაურობა აღწერა და 1878 წელს წიგნად გამოსცა სახელწოდებით ,,არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ .

ბაქრაძე მასალებს გვაწვდის ქედასა და მის სოფლებში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ.

სწორედ დავით ბაქრაძეა ის პირველი ისტორიკოსი, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ქედელები ქილისე ამ ტერმინს XIX საუკუნის 70-იან წლებში იყენებდნენ ეკლესიის აღსანიშნავად. ზემო აჭარაში მგზავრობისას მას სოფელ საღორეთში (ახლანდელი პირველი მაისი) ვიღაც მუთაოღლისთან გაუთევია ღამე (ცნობისათვის

მუთინოღლები დღეს დვალიძეებად იწოდებიან და მართლაც ცხოვრობენ პირველი მაისის თემში).

მასპინძლებთან საუბარში ბევრი რამ გაარკვია და გადაიტანა წიგნში: ,,იმ საღამოს საუბრისას ზოგი საინტერესო რამ გავიგე. სხვათა შორის, სიტყვა ჩამოვარდა აჭარლების ეროვნებაზე, მათს ენასა და მათს ძველ ეკლესიებზე. ეკლესიას აჭარაში ყველგან ქილისეს ეძახიან. ეს დამახინჯებული ქართული ეკლესიაა. "სიტყვა ,,კილის" ჩვენში თურქული ენიდან არის შემოსული და ,,საყდარს" აღნიშნავს. საკუთრივ ,,კილის" კალკია და თურქებს ის ბერძნულიდან უნდა ჰქონდეთ ნასესხები, რადგან ოტომანთა იმპერია მათ მიერ დანგრეულ ბიზანტიის ნანგრევებზე აღმოცენდა 1453 წლის შემდეგ. ,,საქრისტიანოს ბუდედ" წოდებულ ბიზანტიაში კი მრავლად იყო დიდი თუ მცირე ზომის ეკლესია ან საყდარი. რა გასაკვირია, რომ ორი საუკუნის შემდეგ დაპყრობილ აჭარაშიც გადმოვიდა სიტყვა ,ქილისა", ოღონდ განსხვავებული ფორმით ,,ქილისე".

დ.ბაქრაძე ახსენებს კაიმაკამ ხუსეინ-აღას, რომელმაც მას ,,გაურკვევლად" მიასწავლა ეკლესიების ნანგრევები სოფელ ზენდიდსა და გულებში, თუმცა გულებში ეკლესია რომ უკვე აღარ იყო, მალევე დარწმუნდა ამაში, თუ რატომ შემდეგი ციტატიდან ჩანს: ,, ჩვენ დავბინავდით ერთ მოხუცთან, გვარად დიასამიძესთან. იგი ხელობით დალაქია, ახლახან ამოსულა ბათუმიდან, სადაც ისე, როგორც ბევრ აჭარელს, აქვს სახლები და დუქნები და სადაც ცხოვრობს შემოდგომაზე და ზამთარში. დიასამიძემ ამიხსნა და ეს სხვებმაც დაადასტურეს, რომ არც ზენდიდსა და არც გულებში არავითარი ეკლესიის ნანგრევები არ ეგულება; ასეთი ეკლესიები, თამარ მეფის აშენებული იყო ზემო სოფლებში-დონდალოში (დანდალო), ჭვანასა და შვახევში. ისინი დიდი ხანია დაშალეს და თუ მათი ნაშთი დარჩენილა, უკვე ტყითაა დაფარული...ჩემს ახალგაზრდობაში, დასძინა მოხუცმა, ჩვენ ვლოცულობდით მათს ნანგრევებში ძველი ჩვეულებისამებრ, ვიცით, რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და რომ ჩვენ თვითონ მოდგმით გურჯები ვართ.

ახლა აჭარლებს მხოლოდ შიშსა გვრით ის ადგილები, სადაც ოდესღაც ეკლესიები იდგა და ბევრი მათგანი ვერ ბედავს მიუახლოვდეს მათ“. იგივე მოხუცი ეკლესიების მოუღწევლობის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ეკლესიები ძირითადად ხისგან იყო ნაშენები და დანგრევის შემდეგ თურქები, ცხადია, ხელმეორედ აშენების უფლებას არავის მისცემდნენ. შესაძლოა, გულების ციხის სიახლოვეს მართლაც იყო ხის ეკლესია, რომელიც ისე დიდი ხნის წინათ იყო დანგრეული, რომ მოხუც დიასამიძესაც არ ახსოვდა. ამიტომ ხალხს სხვა სალოცავი რომ არ ჰქონდა, ეს ფუნქცია იტვირთა თურქთა ბატონობის გამო უკვე ფუნქციადაკარგულმა გულების ციხემ, თუ სათვალთვალო კოშკმა, როგორც მას შემდგომ უწოდა იური სიხარულიძემ.

როგორც ჩანს, გულებისწყლის სათავესთან არსებულ ნანგრევებს, რომელსაც ხალხი ,,ქილასას“ ეძახის, ადრე სხვა ფუნქცია ჰქონდა-იყო სასიგნალო კოშკი, რომელიც უთუოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეზობელ სოფელ ზენდიდში მდებარე ციხესთან. ირკვევა ისიც, რომ ასაკოვან გულებლებს დღესაც ახსოვთ წინაპართა ნათქვამი, რომ ციხეებს შორის მაღარა არისო. ,,მაღარა“ კი, აჭარული დიალექტის მიხედვით, გვირაბს ნიშნავს.

აღნიშნული გვირაბის შესახებ ცნობებს გვაწვდის კიდევ ერთი დიდი საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც საკმაოდ გვიან, 1895 წელს, იმოგზაურა აჭარაში და თავის წიგნში მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები აჭარაში“, ვკითხულობთ: ,,გულები--50 კომლი. მშვენიერი სოფელია და ისეთს ალაგას სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა მინამ ვერას დაინახავს.ეს სახელი ,,გულები“ მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოდ ქელასყრის (ქალასკურის) მთის ახლოს ძველად ეკკლესია ყოფილა, სადაც აქაურები დადიოდნენ სალოცავად. ამ ეკლესიის ნანგრევი დღესაც სჩანს, ერთის მხრიდან ჩასავალიცა აქვს. 15 წლის წინათ იმ ჩასასვლელში ერთი მაჰმადიანი ქალი ჩასულა. იქ გზა შეშლია და შიშით ჭკუაზედ შემცდარა. შემცდარი ქალი მალევე მომკვდარა. მას შემდეგ იმ ეკლესიის ნანგრევებს

ქართველი მაჰმადიანები აღარ ეკარებიან, ეშინიათ. ზოგნი ამბობენ, რომ იქ დიდი მაღაროები არის“.

გულების ციხე თუ კოშკი, სავარაუდოდ, XI-XIII საუკუნეებშია აშენებული. XVII საუკუნიდან, ან უფრო გვიან, ხალხმა იგი ,,ქილისედ“ ანუ მცირე ზომის საყდრად აქცია (ლ.მახარაძე, წერილი ,,ტოპონიმ გულების შესახებ“, 2011 წელი).

შემოქმედის ეკლესიის მღვდელს, 90 წლის გიორგი დუმბაძეს, მისთვის უამბია, რომ XIX საუკუნის 30-40-იანი წლებში ჩურუქ-სუში ქრისტიანობა ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ და ეკლესიებიც ხელუხლებელი ყოფილა. მსგავსი სიტუაცია ყოფილა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე აჭარისწყლის ხეობაშიც. ასე რომ, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, როცა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა საქართველოს, მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობისა, აქაურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ხსოვნა ქრისტიანული წარსულის შესახებ. ამის მიუხედავად, აჭარლებს არასდროს შეუწყვეტიათ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ და დედასამშობლოსთან დაბრუნების იმედი. თუმცა გათავისუფლების შემდეგ ჯერ კიდევ იყო გაუცხოების ფაქტორი დანარჩენ საქართველოსთან მიმართებაში, რითაც აქტიურად სარგებლობდა ცარიზმი. მას რომ არ სურდა აჭარელთა გაქრისტიანება, ამას ცხადყოფს ასეთი ფაქტი: 1888 წელს, საქართველოს ეგზარქოსის პალადიეს განკარგულებით ბათუმ-ართვინის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების არსებობის გამოსარკვევად იქ იმოგზაურა არქიმადრიტმა ამბროსი ხელაიამ. იგი მოწმე გახდა სრულიად სხვა განწყობილებისა, რომ ბათუმისა და ართვინის ოლქებში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ჩუმად კიდეც ლოცულობენ და მამაპაპურ ადათ-წესებსაც არ ივიწყებენ. არქიმანდრიტი არწმუნებდა ეგზარქოსს, რომ თუ მოინდომებენ, შემოერთებული მაჰმადიანი ქართველების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ არც ეგზარქოს პალადიეს და არც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ კომისიას, წერს მკვლევარი შ. ლომსაძე,- არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით,

რუსეთის მეფის პოლიტიკა შეგნებულად აბრკოლებდა შემოერთებულთა თვითგამორკვევასა და ცდილობდა ფანატიზმის იმავე დონეზე დატოვებას, ვიდრე არ მომზადდებოდა პირობები მათი გათქვეფისათვის (ბაქრაძე,1987:51). ეს აზრი აჭარის მაგალითზე, კონკრეტულად, უფრო გასაგებად გაზეთ ,,ერთობის“ 1920 წლის ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში-,,ქართველი მუსლიმანები და მათი დემოკრატია“ გამოთქვა თბილისის უნივერსიტეტის ლექტორმა, შემდგომში ცნობილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ თახსიმ ხიმშიაშვილმა. კერძოდ, იგი წერდა: ,,ქართველ მუსლიმანებში ორი დიდი რეალობაა-ეროვნული და სარწმუნოებრივი. პირველის ელემენტებია ენა, ადათი, ხასიათი და ფიზიონომია. ისინი მათ საერთო აქვთ თანამემამულე ქართველებთან. ამასთან, მათი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრება ისეთივეა, როგორიც ქართველების. ვერც თურქების საუკუნეების ფეოდალურმა, იმპერიალისტურმა და სარწმუნოებრივმა ბატონობამ ვერ ჩაკლა მათში ეროვნული რეალობის ელემენტები, თუმცა თურქები აქ ქრისტიანობის ნაცვლად მუსლიმანობას ნერგავდნენ და ცივილიზაციის ნაცვლად მეჩეთის კულტურა დაამკვიდრეს, რითაც სარწმუნოებით გათიშეს თანამემამულეებისაგან, დააშორეს ისინი ერთმანეთს. რუსეთის მმართველობის პოლიტიკა არ ცნობდა აქ მუსლიმანობას, მაგრამ არც ქართველობას, რითაც ცდილობდა ქართველი მუსლიმანების ეროვნული რეალობის ელემენტების მოსპობას. ძალით, ცეცხლითა და მახვილით დაიწყო მაჰმადიანური სარწმუნოების შემოტანა-დამკვიდრება. იგი განსაკუთრებით ქრისტიანულ სარწმუნოებას ებრძოდა. თავის მხრივ, სამხრეთ საქართველოს ამ ძირძველი ქართული მხარის მოსახლეობა ძალ-ღონეს, სიცოცხლეს არ იშურებდა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვნებამ, სისასტიკემ და დაუნდობლობამ, აგრეთვე ამ მიმართებით მის მიერ მიზანმიმართულად გატარებულმა სხვა ღონისძიებებმა თავისი გაიტანა. ქრისტიანობა ძლეულ იქნა. მრავალი ქრისტიანული ტაძარი დაშლილი, განადგურებული იქნა ან მეჩეთად გადაკეთდა. მხოლოდ ზოგიერთი ძლივს გადაურჩა მოძალადე მტრის და დროის ქარტეხილს. ქრისტიანობა, რომელიც

ადრე კერძოდ XVII საუკუნემდე ამ მხარეში სახელმწიფო რელიგია იყო, XIX საუკუნისათვის ოსმალო მოძალადეების სისასტიკის გამო მოსახლეობის ნაწილის მიერ მალულად აღევლინებოდა.

ქრისტიანობისა და მისი გადარჩენა-შემონახვისათვის დიდი ბრძოლა გასწია საქართველოს ძირძველმა და განუყოფელმა კუთხემ აჭარამ, მისმა მოსახლეობამ.
ეხება რა ოსმალთა ბატონობის დამკვიდრებას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს: ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო, საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა (ჯავახიშვილი,1996:33). ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფოდა. აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი წერდენ: ,,თურქები... მხეცურად, არაადამიანურად სდევდნენ ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდას-მის ენას, მის კანონებს და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურას და სარწმუნოებას, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს,,.
„ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა ო ს მ ა ლ ო ბ ა, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა. წერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე 1946 წელს (კალისტრატე,1946:12).
თურქებმა მის მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს.

ქრისტიანობის მოსპობასა და ქართველი ხალხის ძალად გამუსლიმანების დამადასტურებელი მასალები საკმაოდ მოიპოვება. მაგალითად, ახალციხის მუზეუმის ხელწერათა ფონდში დაცულია მესხის (გვარამიძის) წერილი, რომელშიც ნათქვამია: ,,რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოთქვას თვითეულნი იმ დროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს ბაწრებით გუდათ იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ ხმლითა და ხანჯლით გულ-მუცელს უპობდნენ, ვის შამფურებზედ გაცმულს ცოცხალებრივ ცეცხლზედ მწვადივითთ სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულს საჯდომზედ აგდებდნენ... რკინის საწვავებით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყავს ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში აგდებდნენ" (ახვლედიანი,1956:39).

აჭარის, როგორც საქართველოს ძირძველი და განუყოფელი კუთხის ისტორია საქართველოს ისტორიასთან ორგანულ კავშირშია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ოსმალთა ბატონობის პერიოდში (მე-16 საუკუნის 70-იანი წლები - მე-19 საუკუნის 70-იანი წლები) აჭარის მოსახლეობის ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის. მას შემდეგ რაც XVI საუკუნის ბოლოს და კერძოდ, 1614 წელს ოსმალები დაეუფლნენ აჭარას, მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყოველივე ქართულს, განსაკუთრებით ებრძოდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ქრისტიან აღმსარებლობას და ამ მხარეში სურდათ მისი ამოგდება აჭარის მოსახლეობა გმირულად და თავგანწირვით იბრძოდა თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ქრისტიანობისა და ქართული ენის გადარჩენისათვის. ამ მიმართებით განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ სხალთის მხარის ცალეული სოფლების, კერძოდ, სხალთის, ყინჩაურის სოფლების ქრისტიანები.

ქრისტიანული რჯულის გადასარჩენად ყველაზე დიდი ბრძოლა სოფელ დანდალოს მცხოვრებთ გაუმართავთ. აქ მამა-პაპათა სარწმუნოების დასაცავად, ხმალ-ხანჯლით საბრძოლველად დედაკაცებიც გამოსულან. დანდალოს მთლიანად აჭარა ქობულეთის მოსახლეობამაც მიბაძა. მოსახლეობა თავს არ ანებებდა ქრისტიანობას

და მისთვის თავს სწირავდა ამიტომაც იყო, რომ 1726 წელს აჭარაში ქრისტეს რწმენის აღიარებისათვის ნაწამები ქართველი ქრისტიანები სრულიად სამართლიანად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II 1985 წლის 24 ივნისის ბრძანებით აღიარებულ იქნენ წმინდანებად მას შემდეგ, რაც ოსმალებმა XVIII საუკუნის 50-იან წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მოახერხეს აჭარის მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანება. აქაური მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩუმად მაინც აღავლენდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, პატივს სცმდა ეკლესიებს და ხატებს, ბევრი მათგანი ეკლესიებშიც დაიარებოდნენ, თვით XIX საუკუნეშიც ამ მხარეში ადგილი ჰქონდა ქრისტიანული წესით მონათვლის ფაქტებსაც. აჭარაში ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის ბრძოლის ისტორიაა რომელიც ასახავს აჭარელთა 300 წლიან ბრძოლას ქრისტეს რჯულის შესანარჩუნებლად. წარმოაჩენს საქართველოს ამ ძირძველი ქართული მხარის მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლის ფაქტებს და მაგალითებს ქრისტიანობისათვის. ამ მხარეში მაჰმადიანური სარწმუნოების დამკვიდრების შემდეგ წარმოჩენილია, ის ცნობები და ფაქტობრივი მასალა, რომლებიც აჭარელთაგან ქრისტიანული სარწმუნოების მალულად აღვლენა-შემონახვას რომ ეხება.

თავი IV. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალები

აჭარაში ქრისტიანობის ისტორიაზე საუბრისას, რასაკვირველია, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მან აქ თავისი როლი ეროვნულ საკითხებშიც, კერძოდ, ქართული მეობის შენარჩუნება-შენახვაშიც შეასრულა. აჭარის მკვიდრნი, საქართველოს სხვა მხარეების მცხოვრებთაგან განსხვავებით, უფრო დიდხანს იბრძოდნენ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ, აი, სწორედ მამა-პაპათა რწმენა, მისადმი ერთგულება კიდევ უფრო თავგანწირულს ხდიდა ამ ბრძოლას. ამას კი აძლიერებდა ისიც, რომ მტერი რწმენით მუსლიმანი იყო, ამიტომაც აჭარელთა მეხსიერებიდან ქრისტიანობის სრული ამოგდება მის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა, რის გამოც პირველი დღეებიდანვე არაფერს თაკილობდა საამისოდ, ნებისმიერ მეთოდსა და ხერხს მიმართავდა, რაშიც მოყვანილი მაგალითები ნათლად დაგვარწმუნებს.

ჩვენი უანგარო მეგობარი და ქომაგი, ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „იმდენი სისხლი არავის დაუღვრია ქვეყნისა და რჯულისათვის, რამდენიც აჭარლებს“. სწორედ ზაქარია ჭიჭინაძე თავის ნაშრომში მთელი სიზუსტით გადმოგვცემს აჭარელთა თავგანწირვის საოცარ მაგალითებს, რომელსაც აქ შემოგთავაზებთ:

ზედა აჭარის გამაჰმადიანება

(ნაამბობი სოფ. ნაგაზეულში ყადი ნური ეფენდი ბერიძის მიერ სელეიმან გელაძის გურჯ-ოღლის მიერ და სხვათა მაჰმადიანთ ქართველთა)

ქვედა აჭარაში თათრობა უფრო ადრე შემოსულა, ვიდრე ზედა აჭარაში. ახალციხის მხარეში კი უფრო ადრე მოფენილა მაჰმადის სჯული ვინემ ზედა აჭარაში, სხალტის ხეობაზედ, შავშეთამდის ახალციხიდან თათრობა უფრო არტანუჯისაკენ და არტაანისკენ გაუვრცელებიათ; მცირე ხნის შემდეგ შავშეთსა და იმერხევშიაც

შემოუტანიათ და ამას აქეთა მხარე აღმოსავლეთის აჭარის ნაწილი კი დარჩენილა ქრისტიანობაში. ამათ კარგა ხანს შეუნახავთ თავი ქრისტიანობით, მაგრამ ბოლოს საქმე გასჭირვებიათ, რადგან ესენი შუაში ყოფილან მომწყვდეული და გარშემო კი-სულ ახლად გამაჰმადიანებული ქართველები ჰყოლიათ შემორტყმული. ამათი საქმე მაშინ გაჭირვებულა, როცა ქვედა აჭარის ერთი ნაწილიც გამაჰმადიანებულა და აქედან ნელნელა ზედა აჭარის ზოგიერთ სოფელშიაც შეუპარებიათ. ყველაზედ მაგრად ქრისტიანობაზედ სოფელ დანდალოს ხალხი მდგარა, მაგრამ მალე აქაც შეუტანიათ ძალადობით დანდალოდან წასულა აღმოსავლით და სხალტის სოფლებს მიახლოებია, მაგრამ სხალტის გარშემო და ხულოს ხეობაში ეს ადვილად ვერ შეუტანიათ. აქ ხალხი მეტად გამაგრებულან ისე გამაგრებულან რომ. ოსმალოს ჯარს გარდა ამათ თბილ ახალ გამაჰმადიანებული ქართველების წინააღმდეგ დაუწყიათ ბრძოლა. ამ ბრძოლაში დიდი გმირობით უბრძოლიათ დანდალოს ხალხსა და ხულოსას. დანდალოში ოსმალოს ჯარი ყოფილა, ამათ დაუქცევიათ დანდალოს ეკლესია. დანდალოს ეკლესიის დაქცევა ძლიერ სჯავრებია ხულოს ხეობის ხალხს და ამიტომ ამათ ოსმალოსთვის არამც და არამც თუ მარტო მუსლიმანობის გულისთვის გამოუცხადებიათ წინააღმდეგობა. არამედ თვით ოსმალოს მფლობელობისთვისაც. რომ ჩვენ თქვენი მორჩილება არ გვინდაო. ოსმალთ რა უნახავთ საქმის გაჭირვება, ამათ ხულოს ხეობისთვის თავი დაუნებებიათ და მიუმართავთ სხალტისა და ტბეთის მხრის სოფლებისათვის: აქ ამათ მოწინააღმდეგენი არავინ აღმოუჩენიათ. ორივე მხრის ხალხს ოსმალოსათვის ძლიერ მალე დაუკრავს თავი. ტბეთის ეკლესია მალე გაუქმებულა, სამღვდელონი აქ აღარ ყოფილან და საეკლესიო ნივთები. აქ გამაგრებული ოსმალონი სხალტისაკენ წასულან აქ შეუსყიდნიათ სხალტის მოწინავე კაცები და მათის დახმარებით შესულან ხულოში. ამ მხრის ხალხისათვის დამდგარა დიდი განკითხვის დღე, მაგრამ მაინც ესენი ომს არ შეშინებიან. ამათ დაუწყიათ ომი და ოსმალოს ჯარისთვის ბევრიც უვნიათ, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰმორჩილებულან ოსმალთ. მაშინვე დაუწყიათ აქ სჯულის გამოცვლის შესახებ და უთქვამთ ასე:-თუ სჯულს

გამოიცვლით, ხომ კარგი, თუ არა და იცოდეთ, ხომ ჩვენ აღარ დაგაყენებთ, თქვენს მოწინავე პირებს თავებს დავსჭრით და დანარჩენს ხალხს კიდევ შამიისკენ გადაგრეკავთო. ბევრი მაინც მაგრად მდგარა, ბევრს შეშინებია და ბრძანებას დამორჩილებიან კიდეც. აქაც მოფენილა თათრობა და ამის გაძლიერებისათვის დიდად ცდილან ოსმალნი. ამათ მალე დაუქცევიათ ხულოს დიდი მშვენიერი ეკლესია ნახევრობაზედ და ხალხისათვის აღუკრძალავთ სასტიკად, რომ ვინც აქ ილოცებს, იმას ჩვენ, თუ შევუტყვეთ ეს ამბავი, იცოდნენ რომ სასტიკად დავსჯითო. ხალხს დროებით მიუტოვებია ლოცვები, ოსმალთა დასამშვიდებლად და საქმე დაწყნარებულა. დღეს ხულოს ეკლესიის საძირკველზეც გაკეთებულია ხულოს დიდი ჯამე; ეკლესიის საძირკველის სიპი ქვები დღევანდლამდე ეტყობა. ეს ამბავი ბევრმა მოხუცებულმა იცის, ხულოდან ოსმალნი წასულან აჭარისკენ და საცა რომ ეკლესიები შეხვედრიათ, სულ უქცევ-უნგრევიათ. ნახევრობაზედ დაუქცევიათ იმ დროს აგარაში გაკეთებული ძველი მშვენიერი ეკლესია. მთელს მხარეში მაჰმადიანობა მოფენილა და ოსმალოს მოლა-ხოჯებს ხალხისთვის ლოცვების შესწავლა დაუწყებინებიათ და მალე დარწმუნებულან ქართველთა ნამდვილს მაჰმადიანობაზედ.

მაჰმადიანობის დროსაც ესენი თურმე არ სტოვებდნენ ქრისტიანულ წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც დღესასწაულობდნენ. მაგალითად აქ აღდგომას ღებავდნენ წითელს კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალტის ეკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულოს ეკლესიის ნანგრევებთან, აგარის და სხვათა მხარის ეკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულოს ხეობაში დღევანდლამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც შეღებენ ხოლმე კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთ ეკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ. ქართველთ ქრისტიანულ წესებს ამბები მალე იქმნა ოსმალთათვის ცნობილი. ოსმალთა სასულიერო პირნი დიდად აღელვდნენ ამაზედ. მათ მოუწერეს ხონთქრის რისხვა სელიმ-ფასშა ხიმშიაშვილის მამას აბდულ-ბეგს, რომ მაგ მხარეში ყველა ეკლესიები უნდა დაიქცეს და ხალხს აღეკრძალოს ეკლესიის ნანგრევებთან სიარული და ლოცვაო.

აბდულ-ბეგი ოსმალოს ჯარით დაეცა მთელს ამ მხრის სოფლების ეკლესიების და სულ მთლად პირქვე დასცა, დაანგრია: გადარჩა მხოლოდ სხალტა და ტბეთის ტაძარი. ესენი იმ აზრით არ დაუქცევია აბდულ-ბეგს, რადგანაც ამ ეკლესიის ჯამეთ გადაკეთება ჰსურვებია, ეს ტაძრები მალე ჯამეთაც გადაუკეთებიათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ეს ტაძრები ჯამეთ დიდხანს არ დარჩენილან, ხალხს თურმე ცუდი სიზმრები ესიზმრებოდა ამაზე და ამიტომ აქ სალოცავად არ დადიოდნენ, მალე ჯამეები მოიშალა აქ და დატოვებულ იქმნენ. იმ დროებაშიაც აქა-იქ საიდუმლოდ ქრისტიანდებოდა ხალხი, ერთსა და იმავე დროს ესენი მაჰმდიანურ ლოცვებსაც ასრულებდნენ და ქრისტიანულსაც. ეს ამბები ერთმა ოსმალოდან მოსულმა ქართველმა ხოჯამ შეამჩნია ამან დაიწყო ჩუმ ქრისტიანებთან მეგობრობა და თავის თავს საიდუმლო ქრისტიანად აღიარებდა, ესეც სიამოვნებით მიიღეს ჩემ ქრისტიანებმა და ყველა საიდუმლო ქრისტიანები გააცნეს მას, გააცნეს ჩუმი სამღვდელო პირნიც, რომელნიც ერისკაცის ტანსაცმლით იყვნენ მოსილნი. მოლა კარგად დაუმეგობრდა ამათ, თავს ნამდვილ ქრისტიანადა აჩვენებდა. ასეთის მოტყუებით მოლამ ჩუმ ქრისტიანების შესახებ ძლიერ ბევრი ცნობები შეჰკრიბა, ამან შენიშნა, რომ ზედა აჭარაში ყველა სოფელში თითქმის საიდუმლოდ ყველა ასრულებს ქრისტიანულ წესებსაო. თუ ვინ იყვნენ აქ ქრისტიანული წესების მფარველნი და მღაღადებელნი ამათი ცნობებით კარგად სარწმუნოდ შეჰკრიბა, და ბოლოს ეს საიდუმლო ქრისტიანი გადგა თავისს მოძმე ქართულ ჩუმ ქრიასტიანებისაგან და ოსმალოს მთავრობას მისცა ყველა ამათზედ დაბეზღება. ამ ამბავმა დიდად გააკვირვა ოსმალნი. დამბეზღებელს მაშინათვე საჩუქარი მისცეს და ხალხის შესაშინებლად და ქრიტიანულის წესების მოსასპობად ამათ შემოიტანეს კაცის თავის მოჭრა, კლდიდგან გადაგდება, დარჩობა, დაკუევა და ათასი სხვანი, მაგრამ ეს ვერ დაინახეს სასარგებლოდ, რადგან ყველა ჩუმი ქრისტიანი რომ მოეკლა მაშინ მთელი მხრის ორი ნაწილი ხალხი გაწყდებოდა, ამიტომ ესენი სხვა გზას დაადგნენ (ჭიჭინაძე:70-74).

აჭარის გამაჰმადიანება

(ნაამბობი თევდორეს ორცველის სააკ-ოღლისაგან)

აჭარა ყველაზედ გვიან გამაჰმადიანდა. სპარსელთ საქართველოსთან ომი ჰქონდათ. სპარსელთ ქართველებს ვერაფერი დააკლეს, მათ მხოლოდ აჭარა დაიჭირეს და ბევრი შავი დღეებიც დააყენეს. ქართველნი ძლიერ შეწუხდნენ ამაზედ. მცირე ხნის შემდეგ ესენი დაირაზმნენ სპარსელთ წინააღმდეგ და ერთს დღეს ომი განუცხადეს: აჭარელთ დაეხმარნენ სხვა ქართველნიც, ამათ დაიწყეს ომი და სპარსელნი საქართველოდან განდევნეს და თავიანთი ქვეყანა განათავისუფლეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალნი ჭანეთის გონიამდის მოვიდნენ და გონიაში გაიმაგრეს ფეხი. გონიის ციხიდამ ამათ დაიბარეს აჭარის მოწინავე პირები გამოუცხადეს ასე:

-ოსმალნი გარეკეთ. ბევრი წვა-დაგვა მოგადგათ, ახლა ჩვენ გვინდა აჭარაში შემოვიდეთ და ძალით თქვენი ქვეყანა დავიჭიროთო. თუ გინდათ, თქვენ ჩვენ ნებით შემოვალთ აჭარაში,-ომს დავიწყებთ და ძალით დაგიმორჩილებთო. დაფიქრდნენ ქართველნი, პასუხი ვერ მისცეს, აჭარაში გაგვიშვით და იქ ჩვენებს დავეკითხებით და მალე მოგცემთ პასუხსო. ქართველნი წამოვიდნენ და აჭარაში და ყოვლისფერი ქართველებს მოახსენეს, რომ ოსმალნი ასე გვითვლიან და თქვენ რას იტყვითო? ერთმა მიუგო:

-ჩვენ არ შეგვიძლიან, ოსმალს თავს ვერ დავუკრავთ, მათი თავის დაკვრით ბოლოს ჩვენ გაგვათათრებენ და დავიღუპებით. ხალხი უარზე დადგა. მოწინავე პირებმა რჩევა მისცეს, რომ საქმეს წავაგებთო. ისევ ნებით დავუკრათ თავიო.ხალხმაც ნება მისცა და ესენიც წავიდნენ და ოსმალთ მოახსენეს, რომ ოღონდ ნუ აგვაოხრებთ და ჩვენ ჩვენის ნებით გემორჩილებითო. ოსმალთ მიიღეს და ყველა მოწინავე პირებს დახმარება მისცეს. საჩუქრები, მიწები დაურიგეს და როგორც თავისის ნებით დამონებულს ერს ხარჯად ათის თავი დაადეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთ ამ პირებს აჭარის ადგილების გამგეობა

ჩამოართვეს და მის ნაცვლად საჩუქრები დაუნიშნეს. ამის შემდეგ ოსმალთ გამოუცხადეს ქართველებს, რომ თქვენ ოსმალური ენა უნდა შეისწავლოთო, რადგანაც სახელმწიფოსათვის ეს საჭიროაო. მალე სტამბოლიდგან გამოუგზავნეს მასწავლებელი ხოჯები და ქართველ ყმაწვილებს სწავლება დააწყებინეს მხოლოდ თათრულის ენისა და წერა კითხვის. რომელი ყმაწვილიც-კი დაისწავლიდა თათრულს ანბანს, იმას კარგს საჩუქრებს და საქმეებს აძლევდნენ; ამით წაახალისეს ქართველთ ბავშვები და მათში ააღორძინეს თათრულის ენის სიყვარული. რაკი ეს მოხდა, მერე ხოჯებმა ბავშვებს მცირეოდნად მუსლიმანობაზე ქადაგებაც დაუწყეს და ეს სარწმუნოება ყმაწვილებს შეასწავლეს. ამ დროს აჭარა ისევ ქრისტიანობაში იყო. ოსმალთ დაიწყეს დიდად მეცადინეობა. მალე ოსმალთ მიიხმეს ქართველი მოწინავე პირები, ამათ მისცეს დიდი საჩუქრები, ქრთამები და სთხოვეს, რომ თათრის სჯულის გავრცელებაში თქვენ ჩვენ დაგვეხმარეთო. მოწინავე პირებმა სიტყვა მისცეს და დაიწყეს მაჰმადის სჯულის გავრცელება ქართველ ხალხში. უმეტესად ახალგაზრდებში ავრცელებდნენ ამას და მოხუცებულებს ისე სტოვებდნენ, ნამეტურს ქალებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარას გამოღმა მხრის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანებულ ქმნა, ყველაზე დიდი ხანი ქრისტიანობით თავი შეინახეს გაღმა მხარში ქედამა და სოფ.ორცვამ. ამ ქრისტიანობის სასტიკ მფარველად სოფ. ორცვის მღვდელი კაკაბაძე იყო. ეს მღვდელი იყო დიდად მქადაგებელი, მოყვარე ქრისტიანობისა და პატივისმცემელი ქართველთა, ეს მღვდელი დღე და ღამე დადიოდა ხალხში და ხალხს ამაგრებდა ქრისტიანობაზედ. ეს ამბები ოსმალთ იცოდნენ და ორცვის კაკაბაძე მღვდელს დიდად ემუქრებოდნენ, მაგრამ მღვდელი მაინც არ უშინდებოდა მუქარას.

ეს მღვდელი, ქედის დიდს ეკლესიაში დადიოდა, იქ ზარს რეკავდა. 4-5 სოფლის ხალხს ორცვაზე იხმობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მაჰმადიანობა ქედაშიც შემოვიდა; ახალ გამაჰმადიანებულ ქართველთ კაკაბაძე მღვდლისა ძლიერ ეშინოდათ და მაჰმადიანობას ჩუმად ინახავდნენ. განვლო რამდენიმე ხანმა და ამათ ჯამეს გაკეთება მოინდომეს, მაგრამ კეთებას ჯერჯერობით ვერ ჰბედავდნენ,

კაკაბაძე მღვდელის შიში ჰქონდათ.

ბოლოს მაინც ეს ეკლესიაც დაუქცევიათ თათრებს. კაკაბაძე მღვდელი რომ მოსულა, შორითგანვე შეუხედნია ეკლესიისაკენ და ეკლესია დაქცეული უნახავს. ეკლესიის გვერდით-უცბად დადგმული ხის ჯამე. კაკაბაძე მღვდელს გულს შემოჰყრია, ტირილი დაუწყია და უთქვამს:

- ვაიმე, ახლა კი დაეცა აჭარაო!:
- ბევრი უწუხნია ხალხშიაც ბევრს ცდილა, რომ ქრისტიანობა არ დაცემულიყო, მაგრამ ვეღარა მოუხერხებია რა. ბოლოს საქმე იქამდი მისვლია, ამას, რომ სოფ. ორცვასგან გაქცეულა და ჩაქვისაკენ წასულა, რადგანაც ჩაქვს იქითა მხარე იმ დროს საქართველოს ეკავა და იქ ისევ ქრისტიანი ქართველები იყვნენო. კაკაბაძეს ცოლ-შვილი ორცვაში დარჩნენ და მღვდელს არავინ დაანება. ესენი ოსმალოს მთავრობამ გამოიკითხა და კაკაბაძე მღვდლის შვილებს ქეშიშ-ოღლი უწოდეს და ერთ შვილს თათრული წერა-კითხვა დაასწავლეს და მალე მოლობაც მისცეს: რადგანაც მამაშენი ქეშიში მღვდელი იყოო, იმის ნიშნად ამ დღის შემდეგ ამ სოფლის მღვდელობა თქვენი გვარისკაცებს ჰქონდესო. მას შემდეგ ასეც არის და ორცვაში ხოჯა-მოლები ყოველთვის ქეშიშ-ოღლებს უკავიათ. ამ მღვდლის შემდეგ აჭარაში მაჰმადიანობა ერთობ მალე წავიდა, მხოლოდ მოხუცებულებს კი არა ამაჰმადიანებდნენ და ქართველ ქალებსაც ხმას არა სცემდნენ. ქართველ ქალებში თათრობა სულ-სხვანაირად შეუტანიათ.
- შემდეგ და შემდეგ ოსმალოს ხოჯებმა ქართველებმა დაიწყეს ქართულის ენის მოსპობის ქადაგება, რომ მუსლიმანი კაცი ქართულ ენაზე არ უნდა ლაპარაკობდესო. მაგრამ მათ ენა კი ვერ მოსპეს და რაც ქართული ძველი წიგნები იყო, ესენი კი სულ ცეცხლში დააწვევინეს, რადგანაც ესენი ხალხს ეუბნებოდნენ, რომ სახლში წიგნების შენახვა ჩვენის სჯულის წინააღმდეგიაო. ხალხს არაფერი ესმოდა, მოლებს უჯერებდნენ და ბევრს ძვირფასს ქაღალდებს სწვავდნენ, ასეთი ქაღალდები თვით ჩვენს ძველებსაც დაუწვავთო.
- მე, მახსოვს, რომ აქეთკენ დიდრონი წიგნების ტყავისაგან ჩასაცმელ ჩუსტებს

აკეთებდნენ, ქალამნებს, პატარა გუდებს სხვადასხვა რამეებს აკერავდნენ ზევიდანაო. ზოგიერთი ისეთი წიგნები ყოფილა აქეთ, რომ თითო წიგნი ნახევარი ფუთი გამოვიდოდაო.

აჭარის გამაჰმადიანება

(ნაამბობი ქედაში ორცველის ქართველ მაჰმადიანის შავლედ ნაკაშიძის მიერ)

აჭარაში გამაჰმადიანება ლიბანიდან შემოუტანიათ. პირველად მაჰმადიანობა აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებისკენ გაუვრცელებიათ, მარცხენა მხრის სოფლები კი ისე დაუტოებიათ. მარჯვენა მხრის სოფლები გავამაჰმადიანოთ და მარცხენა მხრის ხალხი თვითონ მოგვყვებაო. გამაჰმადიანებულთ და ქრისტიანთ შორის ყოველნაირი მეგობრობა მოსპობილა.

ერთხელ ერთი ქრისტიანი ქართველთაგანი გასულა მაჰმადიან ქართულ სოფლებში. ეს რამდენსამე დღეს ერთს სოფლებში დარჩენილა, თავის ნათესავებში. აქ ეს ბიჭი ბევრის დარიგების და თანხების მეოხებით გაუმაჰმადიანებიათ. გამაჰმადიანების შემდეგ ბიჭი გასულა გაღმა. ქრისტიან ქართველებს უნახავთ და უკითხავთ:

- ბიჭო, ამდენ ხანს რას აკეთებდი ამ თათრებშიო? ამან მიუგო:
- გამამაჰმადიანეს, ალი დამარქვეს სახელადაო. ქართველნი გაოცდნენ და უთხრეს:
- ბიჭო, მიტომ გახვედი თათარში,რომ გახტიალდი? აი შეგირცხვეს კაცობაო!

ეს ბიჭი სულ მთლად მოიძულეს ქართველებმა. მეტ სახელად გახტიალდი უწოდეს. შემდეგ ცოლი შეირთო ამან, შვილებიც გაამაჰმადიანა, გვარად გახტიალდი დაერქვათ; დღესაც ასე იწოდებიან, ბოლოს მარცხენა მხარეც გამაჰმადიანდა. ვინც არ ინდომა გამაჰმადიანება ისინი სოფელ საღორეთში წავიდნენ და იქაურ ციხიდან იბრძოდნენ ოსმალთ წინააღმდეგ.

ნაკაშიძეები გურულები ყოფილან; გურიაში რაღაც საქმე ჩაუდენიათ.ამათ სხვა თავადიშვილები დახოცეს: ამის გამო ამათ გადაეკიდა გურიელი. მაშინ ნაკაშიძენი

სამნი ძმანი ყოფილან. ერთი ძმა ბაღდადში გაქცეულა და იქ გამაჰმადიანებულა. მეორე ძმა სტამბოლში გაქცეულა და იქ გამაჰმადიანებულა, ამისთვის მალე ფაშობაც მიუციათ. მესამე ძმა აჭარაში მოსულა, სოფ.ორცვაში დასახლებულა. მერე ცოლ-შვილიც მოუყვანია აქ. რამდენიმე ხნის შემდეგ ესენიც გამაჰმადიანებულან. ერთხელ ნაკაშიძემ თავის გამაჰმადიანებული შვილებით სადღაც ერთ მთაზე წასულა. მთითგან ძირს გადაუხედიათ და ერთი უშველებელი ტყე უნახავთ, რომელიც ხილით ყოფილა სავსე, ნაკაშიძემ რომ დაინახა ბევრი ხილი, დაიყვირა ეს რა კარგი კაკა არისო. ამის გამო ამ ალაგს კაკა დარქმევიაო; მერე იქ სოფელი გაშენებულა და სოფლისთვისაც კაკა უწოდებიათ; თვით მას,-შემდეგ კაკაძე დარქმევია, და ახლა კი კაკა-ოღლი არიან.

მერისის ხეობას მიტომ დაერქვა ეს სახელიო, რადგანაც, როცა აჭარას ამაჰმადიანებდნენ, მოლები ამბობდნენ:

-ჯერ აჭარა გავამაჰმადიანოთ, ჯერაც ამას მოვრჩეთ და მერე ისი, ანუ მერეისიო და ამასაგან დაერქვა აჭარისაგან მოცილებულ ხეობას მერისიო.

ქედას ზევით, ვაიოს პირდაპირ, არის ერთი მთა რომელსაც სახელად ,,ქალო ჯვარას“ უწოდებენ. ეს სახელი მას ამ შემთხვევის გამო დარქმევია: ვაიოს მხრის ქართველი ქრისტიანები გამაჰმადიანდნენ, დარჩნენ გაღმა მხრისა. გაღმა მხრის ქალი ერთხელ ვაიოსკენ გავიდა; იქ ეს გამაჰმადიანდა და ერთ ახალ გამაჰმადიანებულ კაცზეც დაინიშნა. დანიშნვის შემდეგ ეს თავიანთსა დაბრუნდა და შინ გამოუცხადა: მე გავმაჰმანდიანდიო. ამაზედ მთელი სოფლის ხალხი გაოცდა,რადგანაც აქეთ ყველაზედ ძნელად უფრო ქალები მაჰმადიანდებოდნენ ხოლმე. ქალმა შინ რამდენიმე დღე დაჰყო და თავისი ბარგი მოაგროვა და ვაჟიანთას აპირებდა წასვლას. დედ-მამა არ უშვებდა. ესენი ეუბნებოდნენ:

- ქალო, პირს ჯვარი დაიწერე, ქალო, პირს ჯვარი დაიწერე რა შენი საქმეა მაჰმადიანობა. ქალო,პირჯვარი!-სირცხვილიაო. დედ-მამას და ნათესავებმა საქვეყნოდ შეარცხვინეს ქალი და ყვიროდნენ, რომ ქალო ჯვარი დაიწერეო და აი ამ ადგილსაც მიტომ დარქმევიაო ,,ქალო-ჯვარა“ რადგანაც ეს ამბები აქ ამ

მთაზედ მომხდარა.

- მერისის უმშვენიერესი ხეობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XIX საუკუნის მოგზაურები და ეთნოგრაფები. ეს არის მხარე, რომელიც დიდხანს არ შეეგუა თურქთა ბატონობას და მოსახლეობის ნახევარზე მეტი მათთან ბრძოლას შეეწირა. ამიტომ აქ ხშირად ვპოულობთ ქრისტიანობისათვის დამახასიათებელ თქმულებებსა და ტოპონიმებს.
- საინტერესო თქმულებაა შემორჩენილი მერისის ხეობაში კაკაშვილების ქედთან დაკავშირებით. თურქთა სამასწლოვანი ბატონობის პერიოდში მერისლებს გამოუჩენიათ საარაკო გმირობა-დიდხანს არ შეუცვლიათ სარწმუნოება და გამწყდარა კიდეც უმრავლესობა მათთან ბრძოლაში.
- სოფელ მერისის ერთ-ერთ უბან ფიანოღლებში ყოფილა ოთხმოცი წლის მოხუცი კაკა საკანდელიძე., რომელსაც რჯულის შეცვლა სთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორ ახალგაზრდა მუხის ხეს გადმოსწევდნენ, კაკას ფეხებზე გამოაბამდნენ და ხეებს გაუშვებდნენ ხელს, ხოლო კაკას შუაზე გაგლეჯდნენ. მოხუცს არ შეშინებია, უარი უთქვამს. მტერს დანაპირები შეუსრულებია-მოხუცი შუაზე გაუგლეჯიათ. მადლიერ შთამომავლებს კაკას ნამრავლისათვის კაკაშვილები უწოდებიათ, ხოლო იმ ქედს, სადაც კაკა ცხოვრობდა, კაკაშვილების ქედი დაურქმევიათ. (მერისის ხეობაში ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი მასალები მოგვაწოდა ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის ფოლკლორის დარგის სპეციალისტმა ლია მახარაძემ).
- 1893 წელს ზაქარია ჭიჭინაძე მერისის ხეობის სოფლების შესახებ წერდა:
- **„მერისი-** მეტად მშვენიერი სოფელია, ამ ხეობის ყველა სოფელზედ გამოჩენილი. 100 კომლია, მეტიც იქნება. ნასაყდრალზე ჯამე დგას. მერისის გათათრების შემდეგ აჭარელნი ამბობენ, მერისელნი ერთობ გვიან გათათრდნენო. აქ გათათრების წინად 700 კომლი ყოფილა. გათათრების დროს ამათ სასტიკად უბრძოლიათ და ბრძოლაში 700 კომლი მთლად გამწყდარან. გადარჩენილან

მხოლოდ ექვსნი ძმანი ცეცხლაძეები, რომლებიც გაჭირვების მეოხებით გათათრებულან.

ქეშიშ-ოღლები- მღვდლის ანუ ხუცის შვილები-20 კომლი. უწყიან, რომ აქ ქრისტიანობა დიდხანს ჰქონდათ ფარულად შენახულიო. აქ ერთი მღვდელი ცხოვრობდა, რომელიც არ გათათრდა და არც აქაურობას მოჰშორდა. როცა დაბერდა, მაშინ სადღაცა ქრისტიან ქართველებში წავიდა, თავისი ნებით და იქ გარდაიცვალაო. ამის შვილები რომ გაუთათრებიათ, ამთთვის ქეშიშ-ოღლები, ანუ მღვდლის შვილები უწოდებიათ. ამათ აქ ეკლესიაც ჰქონიათო (ჭიჭინაძე:86-89).

დასკვნები

აჭარაში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებაზე, მის ისტორიულ ნაშთებსა და ნიშნებზე უამრავი ცნობაა გაბნეული სხვადასხვა წყაროსა და ისტორიულ ლიტერატურაში, რომელთა შეკრება და მონოგრაფიულად შესწავლა ვცადე, საიმისოდ, რომ მკითხველისათვის მიმეწოდებინა ისეთი საკითხავ-საცნობარი ნაშრომი, რომელშიც უხვად იქნებოდა გამოყენებული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური, აგრეთვე რევოლუციამდელ საბჭოთა წლებისა და განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ჟურნალ გაზეთებში გამოქვეყნებული ქრისტიანობასთან დაკავშირებული მასალები, კერძოდ აჭარაში ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების საკითხი. დავახასიათე აჭარაში არსებული ის ისტორიული ვითარება, როდესაც ფეხი მოიკიდა ქრისტიანობამ. რამდენად პროგრესული იყო ეს ფაქტი ქვეყნისათვის, რომლის მიხედვითაც ქრისტიანობის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქონდა. იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქვეყნის ფეოდალიზაციას, ფეოდალთა კლასის გაძლიერებას და განმტკიცებას. ფეოდალიზაცია აძლიერებდა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და კონსოლიდაციას, ხელს უწყობდა ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბებას. ქრისტიანობის მიღებით ქართლი აშკარად დაუპირისპირდებოდა ირანს და რომის მხარეს დაიჭერდა. ქრისტიანობა, თავისთავად უფრო პროგრესული რელიგია იყო ვიდრე წარმართობა და გარდა ამისა, მან განამტკიცა კულტურული კავშირები ევროპის ქვეყნებთან. ქრისტიანობამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში შუა საუკუნეების მთელ მანძილზე. განვსაზღვრე მისი როლი ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ

ბრძოლაში, წარმოვაჩინე მისი ისტორიული ნაშთები და ნიშნები, რათა უფრო სწორი წარმოდგენა შექმნოდა ყველას საქართველოს ამ განუყოფელ მხარესა და მცხოვრებლებზე, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ქართული ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებებისა და ყოფის, ზეპირსიტყვიერების, მამა-პაპათა მიერ დამკვიდრებული ტოპონიმების დაცვა-შენარჩუნებაში. მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ქართველმა ერმა შეძლო, იმგვარად შეეთვისებინა ქრისტიანული კულტურის მონაპოვარი, რომ საკუთარი კულტური თვითმყოფადობა არ შეულახავს. ქრისტიანობამ მანამდე არნახულ სიმაღლეებს აზიარა ქართული კულტურა. ამას ადასტურებს ადრეულ შუა საუკუნეთა სიტყვაკაზმული მწერლობისა და ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი, ცოტათი მოგვიანებით-აგრეთვე, რელიგიური, რელიგიურ-ფილოსოფიური, და საისტორიო ლიტერატურა, მუსიკა, ფერწერა, ჭედური ხელოვნება. შესაძლებლობის ფარგლებში მოვიპოვე მასალები ქედის მუნიციპალიტეტში, ჩაწერილი ზეპირსიტყვიერი და ტოპონიმური მასალები, რომლებიც კიდევ უფრო გაუღვივებს ინტერესს მკითხველებს ამ მხარის წარსულისა და დღევანდელობისადმი ,,ერთი მრავალშვილიანი დედაა საქართველო, შვილები კი დასტურ მრავალნი და თანაც ერთმანეთზე გულადი და პურადი ვყევართ,,.

წარსულში დაუძინებელ მტერთაგან გარშემორტყმულ თითოეულ კუთხეს თავისი მიკროისტორია აქვს, ფარივით იდგნენ ისინი ერთმანეთზე მინდობილ-მიყუდებულნი და ასე ლეწავდნენ თავის წილ სიკვდილ-სიცოცხლის კალოს. ერთ ასეთ ფარად იდგა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით აჭარა. იგი მტრისთვის ბჭე იყო, მოყვრისთვის ჭიშკარი. სხვა სიკეთესთან ერთად ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მას შავი ზღვა აკრავდა და იყო მხარე ესე ,,ჩვენი ქვეყნის ფანჯარა აღმოსავლეთით და დასავლეთით...,,აქ გადიოდა წარსულში საბრძოლო-სტრატეგიული თუ სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის გზა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, ამად თუ უწოდა ნიკო მარმა აჭარას კავკასიის ხალხების ურთიერთობათა კვანძი კვანძთაგანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, თბ., 2009

2. ახვლედიანი ხ, სახალხო - განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956

3. ბაქრაძე დ, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987

4. ბექირიშვილი ი, ქრისტიანობა აჭარაში, ბათ., 1990.

5. ბერძენიშვილი დ, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევი საქართველში,- ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, თ.ბ., 2009

6. დიასამიძე ბ, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში I-X საუკუნეებში, ბათ., 2001.

7. კალისტრატე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „კომუნისტი", 8 იანვარი, 1946

8. მახარაძე ლ, წერილი „ტოპონიმ გულების შესახებ", 2011

9. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თ.ბ., 2012.

10. სახოკია ი, მოგზაურობანი, ბათ., 1985.

11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

12. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1995.

13. შაშიკაძე ზ, აჭარის ლივის გრძელი და მოკლე დავთრები, ბათ., 2011.

14. ჭიჭინაძე ზ, ქართველთა გამუსლიმანება, დაიბეჭდა ბოლნელი ეპისკოპოსის ეფრემის ლოცვა-კურთხევით
15. ხალვაში რ, ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათ., 2011
16. ხალვაში რ, ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოგზაურობის მარშრუტი.- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დიდაჭარობა”., 2009.